ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ანანიძე დავით

ადგილობრივი ბიუჯეტები და მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება

(სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ბიზნესის მართვის დოქტორი,
მოწვეული პროფესორი რ. ცინარიძე

ხიჭაური - 2019 წელი

სარჩევი:

შესავალი----------

3

თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება-განვითარება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ----------6

1.1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი - დეცენტრალიზაცია და უფლებამოსილებათა გადანაწილება ----------

7

1.2. ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და დანიშნულება ----------16

თავი II. **ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სისტემა და პროცესი**

2.1. ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება ----------19

2.2. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახადელები ----------24

2.3. პროგრამული ბიუჯეტი და ხარჯების ეფექტიანობა (სოციალური პროგრამები)------33

თავი III. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების სამართლებრივი მეთოდოლოგიური საფუძვლები და წინაპირობები

3.1. მთის კანონის როლი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკის გატარებაში ----------41

3.2 ადგილობრივი თვითმმართველობის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი ---------46

3.3 მოსახლეობის ზრდის დინამიკისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებები ----------53

დასკვნები და რეკომენდაციები----------**60**

გამოყენებული ლიტერატურა ----------**67**

დანართები და დამატებები----------**69**

შესავალი

თემის აქტუალობა: ადგილობრივი მმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარება, საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საბიუჯეტო სისტემაში შემავალი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სახსრების მობილიზაციისა და გადანაწილების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას. სახელმწიფოს ხელშეწყობითა და ადგილობრივი ბიუჯეტების მეშვეობით ხდება ფინანსური რესურსების მობილიზება, რომელთა ეფექტური გადანაწილდება იქნება წინაპირობა მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა.

ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ მატერიალურ წყაროს გადასახადები წარმოადგენს. გადასახადებს გადამწყვეტი როლი ენიჭება ბიუჯეტის შევსებაში, ხოლო შევსებული ბიუჯეტის სწორ განკარგვას, ეფექტურად გაწერას ისეთი პრობლემების გადაწყვეტაში აქვს ლომის წილი, როგორებიცაა სახელმწიფოს წინაშე მდგარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის (თუ ერთადერთი არა) მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

კვლევის მიზანი და ამოცანები: სამაგისტრო ნაშრომის მიზანს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობების სწორად განაწილება და მაღალმთიან რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების სრულყოფის საკითხების ანალიზი წარმოად-

გენს. განხილულია ადგილობრივი ბიუჯეტების ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიები, მაღალმთიან რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ეფექტიანი მექანიზმის განხორციელება. კვლევის ამოცანაა, ის რომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს როგორც ადგილობრივი, ასევე ავტონომიური და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან სერიოზულ და კომპლექსურ მიდგომას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების განვითარება და ცხოვრების სოციაურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა არ მივიღოთ რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაცია, ამისათვის საჭიროა დროული ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება.

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმისათვის საჭიროა მზარდი ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიხარჯება შესაბამისად კარგად მომზადებულ, გათვლილ და მრავალწლიან პერიოდზე გაწერილ მაღალმთიან რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და ამასთან მისი თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა.

კვლევის ობიექტი - სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველი ერთეულები კერძოდ: ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტთა შემოსულობების ფორმირების ახალი მექანიზმი, მის შემოსულობები და ხარჯების სტრუქტურა, განხორციელებული და ახლო პერსპექტივაში განსახორციელებელი პრიორიტეტები, რაც მნიშვნელოვანი იქნება თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული ადგილობრივი და უცხოელი ავტორების სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომები, სამეცნიერო გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფიები, სტატიები. საქართველოს სა-

კანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მეთოდური მითითებები, ბრძანებები, ასევე სახელმწიფო ორგანოებისა მასალები აღნიშნულ სფეროში.

კვლევის მეთოდები: მოცემული კვლევის განხორციელების მიზნით შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს კითხვარი; მეთოდი გამოკითხვის, შერჩევა საკუთრივ-შემთხვევითი. მონაცემების სიზუსტისათვის ასევე გამოყენებულ იქნა შეგროვებითი, შედარებითი მეთოდები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა - სამაგისტრო ნაშრომში ჩამოყალიბებული თეორიული დასკვნების და რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს თვითმმართველი ერთეულების განვითარებას, განვითარება აისახება მუნიციპალიტეტების თითოეულ მაცხოვრებელზე, აღარ მოხდება მუნიციპალიტეტებიდან მოსახლეობის მიგრაცია და პირიქის მუნიციპალიტეტების განვითარება გაძლიერება, მოსახლეობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა გამოიწვევს მოსახლეობის სოფლად დაბრუნებას, მოხდება ადგილობრივი წარმოების გაზრდა, მოსახლეობის ჩართულობა წარმოებაში, რაც გაზრდის დასაქმებას და მეტი შემოსავლების გაჩენას თითოეული მცხოვრების ოჯახში, რომელიც იქნება წარმატებული განვითარების საწინდარი, როგორც რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 80 გვერდს, წარმოდგენილია 3- ნახაზი, 7 - გრაფიკი, 6 - ცხრილი, 15 -დიაგრამა და გამოყენებული ლიტერატურის 19 დასახელება.

თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება-განვითარება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1991 წლის 30 აპრილს, საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში, არჩეული იქნა პირდაპირი კენჭისყრით სოფლის, თემის, დაბის და რაიონის დაქვემდებარების საკრებულოები, ადგილობრივი მმართველობის მართვა ხდებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელების-პრეფექტების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალების შემდეგ 1992 წლის საწყის პერიოდში გაუქმდა პრეზიდენტისა და პრეფექტურების ინსტიტუტები. არსებული პრეფექტურების ნაცვლად ჩამოყალიბდა ახალი მმართველობითი სისტემა გამგეობების სახით, ხოლო პრეფექტის სახელწოდება შეიცვალა გამგეობის თავმჯდომარის სახელწოდებით, ზოგიერთ ქალაქში კი მერი დაინიშნა, რომელსაც გამგეობის თავმჯდომარეზე მეტი უფლებამოსილება ჰქონდა, ასევე მოხდა ზოგიერთი მათგანის დაშლილად გამოცხადება,

საკრებულოების ნაწილი კი თვითლიკვიდაციას შეეწირა. არსებული საკრებულოების უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, კერძოდ 1994 წლის პირველი აპრილიდან ამ საკრებულოებმა საერთოდ შეწყვიტეს ფუნქციონირება, რის შედეგად შეიქმნა და ჩამოყალიბდა დროებითი მართველობის ცენტრალიზებული სისტემა, რომელსაც კონტროლს უწევდნენ პრეზიდენტის რწმუნებულები, მათი საქმიანობა კი კანონმდებლობით არ რეგულირდებოდა.

2006 წლის 9 იანვარს, ახალი ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ," ძალაში შესვლის შემდეგ ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომლის შედეგების გამოცხადების დღიდან გაუქმდა ადგილობრივი თვითმმართველობის ქვედა დონე (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი) და ყოფილი რაიონები შეიცვალა და მათ მუნიციპალიტეტი ეწოდა. მიზეზად კი რაიონების არაეფექტური მმართველობა სახელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათზე არ იყო გადაცემული საკმარისი ფინანსური ძალაუფლება. აღნიშნულმა რეფორმებმა გამოიღო დადებითი შედეგი თვითმმართველ ერთეულში მოსახლეობის საშუალო ოდენობა 4.354-დან 66,235-მდე გაიზარდა.

2006 წლიდან დაიწყო რეფორმების გატარება, რომლის მიზანი იყო ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის ზრდა, რისთვისაც თვითმმართველობები გადაიქცნენ ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებად, ასევე პოლიტიკურ და ფინანსურად დამოუკიდებელ ორგანოებად. ახალ მუნიციპალიტეტებში არსებული ყოფილი თემები გარდაიქმნა ადმინისტრაციულ ერთეულებად, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევდნენ რწმუნებულები, მაგრამ რწმუნებულები ანგარიშვალდებულნი იყვნენ არა მოსახლეობის არამედ გამგებლის წინაშე, მალევე ცხადი გახდა მათი არაეფექტური მომსახურება მოსახლეობის წინაშე რადგან მათ არ გააჩნდათ ფინანსური და ადამიანური რესურსები საზოგადოებრივი მომსახურებისა და პრობლემებისა გადასაჭრელად, ისინი მხოლოდ თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიწოდებას ახდენდნენ მოსახლეობისთვის.

1.1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი - დეცენტრალიზაცია და უფლებამოსილებათა გადანაწილება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოხდა მთავრობის ცვლილება, ახალ მოსულ მთავრობის მთავარი ხედვა დეცენტრალიზაციისკენ იყო მიმართული და დაიწ-ყო რეფორმების გატარება, რომელიც ახალი მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმო-ადგენდა. ახალი მთავრობის თვითმმართველობის რეფორმების საკანონმდებლო ბაზის მომზადება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტ-როს დაევალა.

საქართველოს მთავრობამ დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის გაძლი-ერება-განვითარების სტრატეგიები შეიმუშავა და დაამტკიცა 2013 წლის მარტში. რეფორ-მების მთავარ პრინციპს წარმოადგენდა მოქალაქეების უშუალო ჩართულობა და გააქტიუ-რება ადგილობრივ თვითმმართველობის მართვის პროცესში, დეცენტრალიზაცია კი მთავ-რობის მთავარ დემოკრატიის საკვანძო ასპექტს წარმოადგენს. ადგილობრივი თვით-მმართველობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის ჩამოსაყალიბებლად ,,**2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,“**[1] რომელიც მმართველობის დეცენტრალიზაციისა და სუფსიდირების სისტემაზე იყო გათვალისწინებული.

ახალი ორგანული კანონით ნათლად გაიმიჯნა უფლებამოსილებები ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, არჩევითი გახდა ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის-მერის/გამგებლის თანამდებობა, დამატებით 7 ქალაქს მიენიჭა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, ასევე კოდექსის გარდამავალი დებულებებით დაიგეგმა რეფორმირებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური და მართვის

[1] საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი", ქუთაისი, 5 თებერვალი 2014 წ. N1958-IIს

ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით, მათ შორის, ფისკალური დეცენტრალიზაციისა და ქონებრივი საკითხების მოწესრიგების კუთხით.

ადგილობრივი თვითმმართველობა, არის საქართველოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო, რომელიც საკუთარი პასუხიმგებლობის საფუძველზე და ადგილობრივი თავიანთი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ახდენს საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგებას.

საქართველოში არსებულ თვითმმართველ ერთეულს უკვე მუნიციპალიტეტი ეწოდება, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ახალი ადმინისტრაციული კოდექსით განირჩევა ორი სახის მუნიციპალიტეტი: ერთს წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქი-რომელიც ადმინისტრაციულ საზღვრების მქონე ერთ დასახლებას მოიცავს. ხოლო მეორეს წარმოადგენს თვითმმართველი თემი, რომელიც მოიცავს დასახლებათა ერთობლიობას აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულმა, რომ განახორციელოს თავისი უფლებამოსილება, მას უნდა ჰყავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ასევე ქონდეს საკუთარი ტერიტორია, ქონება, ბიუჯეტი და - შემოსავლები.

ჩვენს ქვეყანაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო არის საკრებულო, რომელსაც "ირჩევენ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით" (**საქართველოს კონსტიტუცია: 2014, მუხლი 101).**

2010 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებში ადგილობრივი თვითმმართვლობის მოქმედების ვადა არ იყო განსაზღვრული, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა თვითმმართველობის კოდექსით და იგი 4 წლიან პერიოდს მოიცავდა, გამონაკლისის დაშვება მოხდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და მათი უფლებამოსილების ვადა 3 წლით განისაზღვრა, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების

ანგარიშვალდებულება საქართველოს კონსტიტუციური ჩანაწერებით ეკისრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირის არჩევა ხდებოდა 2014 წლიდან პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლებით, ფარული კენჭისყრით, არჩეული გამგებლი ხელმძღვანელობდა თვითმმართველ თემს, ხოლო არჩეული მერი თვითმმართველ ქალაქს, რომლებიც მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირს წარმოადგენდნენ და ანგარიშვალდებულნი იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე.

ადგილობრივი თვითმმართველობის მმართველობისა და გადაწყვეტილებების ცნებების განსაზღვრისას ასევე საყურადღებოა საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წლისთვის შესული ახალი ჩანაწერი, რომლითაც თვითმართველობას აძლევს უფლებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისას. თავიანთი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გააჩნით ორი სახის უფლებამოსილება ესენია: **საკუთარი და დელეგირებული** უფლებამოსილებები.

საკუთარი უფლებამოსილება - ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილება განისაზღვრება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება:

საერთო ადმინისტრირების სფეროს მიეკუთვნება:

-საზოგადოების შეკრების და მანიფესტაციის გამართვასთან დაკაშირებით;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების, ისტორიული უბნების, მიკრო რაიონების, წყაროს, გზატკეცილების, ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხის, სანაპიროების, ბულვარის, ხეივნის, პანთეონის შენობა-ნაგებობის, ტყეპარკის, სასაფლაოების, ტყის, სატრანსპორტო სიტემის სახელდება დადგენილი წესით.

საფინანსო-ეკონომიკური სფერო:

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, მისი განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;

-კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, ფინანსური ოპერაციების განხორციელება;

-ადგილობრივი მუნიციპალური გადასახადებისა და მოსაკრებლის შემოღება და გაუქმება, ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ასევე მოსაკრებლების ამოღება.

ტერიტორიული დაგეგმარებისა და მშენებლობის სფერო:

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმვა, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის, მიწის სარგებლობის წესის, განაშენიანების გეგმის, ტერიტორიების გამოყენების წესის დამტკიცება;

-ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მათზე ზედამხედველობის გაწევა.

ბუნებრივი რესურსების, მიწათსარგებლობისა და ქონების მართვის სფერო:

-ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ტყის, მიწის რესურსების მართვა დადგენილი წესით;

-ადგილობრივ მუნიციპალიტეტში საკუთარი ქონების მართვა და განკარგვა დადგენილი წესით.

ტერიტორიის კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მეურნეობის სფერო:

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ქუჩების, პარკების, სკვერების დასუფთავება, გმწვანება, განათების მოწყობა;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვა;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის უზრუნველყოფა;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მართვა, საგზაო მოძრაობის რეგულირება, პარკირების მოწყობის უზრუნველყოფა;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გარე ვაჭრობის, ბაზრების, რეკლამების განთავ-სება რეგულირება;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შინაური ცხოველების ყოლის წესის დადგენა, უპატრონო ცხოველების თავშესაფრის საკითხის მოწესრიგება;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობა, მოვლა პატრონობა.

სოციალური სფერო:

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის, სკოლის გარეშე აღზრდის, განათლების დაწესებულებების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობა, რეკონსტრუქცია და შენახვა,

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, მუზეუმების, საგამოფენო დარბაზების, სპორტული ობიექტების, ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მნიშვნელობის ობიექტებზე შშმ პირთათვის და მოხუცებისათვის სათანადო ადაფტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და მათი რეგისტრაცია;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ასევე არ არის შეზღუდული ისეთ ღონისძიებების განხორციელებაში, როგორებიცაა:

-დასაქმების ხელშეწყობა;

-სოფლის მეურნეობის განვითარბის ხელშეწყობა;

-სოციალური დახმარება და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება;

-ტურიზმის განვითრების ხელშეწყობა;

-საგანმანათლებლო სფეროს დაფინანსება და განვითარება;

-გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება;

-ოჯახებში ძალადობისა და მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების განხორციელება;

-ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა;

-საზოგადოებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

-ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელება;

-მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვი ხელშეწყობა;

-და სხვა ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა.

დელეგირებული უფლებამოსილებები - ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების დელეგირება საქართველოს კონსტიტუციისა და თვითმმართველობის კოდექსით შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით: პირველი კანონის საფუძველზე ან მეორე ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულების საფუძველზე. კანონის საფუძველზე დელეგირება არის ზოგადი ხასიათია და შესაბამისად შეეხება ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს. ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირება წარმოადგენს ინდივიდუალურ აქტს და შესაბამისად დელეგირება შეეხება ერთ კონკრეტულ ან რამდენიმე თვითმმართველ ერთეულს. დელეგირების უფლებამოსილების გადაცემის შემდეგ მისი ჯეროვნად განხორციელების მიზნით ცენტრალური ან ავტონომიური ხელისუფება ახდენს მის დარგობრივ ზედამხედველობის განხორციელებას, დარბობრივ ზედამხედველობაში კი იგულისხმება შესაბამისი სფეროს სამინისტრო, რომლის მიერ იქნა გაცემული დელეგირებული უფლებამოსილება ადგილობრივ თვითმმართველობაზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტის ორგანოების დელეგირებული საქმიანობის ზედამხედველობის ორგანო განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომლის შესაბამისად ახდენს კონტროლის განხორციელებას.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებათა ნაწილი, კერძოდ:

-გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება ცხოველების მიმართ, ცხოველთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლი;

-ეპიდემიის საშიშროებისას პრევენციული ღონისძებების გატარება, დეზინფექციის ღონისძიებების გატარების განხორციელება;

-პროფილაქტიკური აცრებისათვის შესაბამისი სამინისტროს მიერ მიწოდებული სამედიცინო მასალების მიღება, შენახვა და განაწილების განხორციელება.

ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებითვის დელეგირების გზით გადაცემული სამხედრო სამსახურის შესახებ არის შემდეგი სახის უფლებები:

-სამხედრო სამსახურის სააღრიცხვო კომისიის შექმნა, შემადგენლობის დამტკიცება, მოქალაქეთა წვევამდელთა აღრიცხვა;

-სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიის შექმნა, დამტკიცება, სავალდებულო სამსახურის გადავადება, მოსაკრებლის ზედამხედველობა.

-რეზერვისტთა რესურსების მობილიზება, მოზიდვა და შესაბამის შეიარაღებულ ძალების ქვედანაყოფებში გაგზავნა.

ამ უფლებამოსილებათაგან გახორციელებლად მუნიციპალიტეტების გამგეობებში / მერიებში, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში–რაიონის გამგეობებში სპეციალური სტრუქტურული ერთეულებია შექმნილი. დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებისთვის კერძოდ მაღალმთიან რეგიონებისთვის მათი განვითარების მიზნით აღნიშნული მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ დელეგირებული უფლება ამავე მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებთა პირებზე მაღალმთიანობის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერება და აღდგენის შესახებ, რაზეც დარგობრივ ზედამხედველობას ახდენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2016 წლის 1 აგვისტოდან დაიწყო სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის გამარტივებული სისტემის შექმნა, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობას მარტივად და უსასყიდლოდ მოეხდინათ მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია. რომლებშიც ჩაერთნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც:

-საჭიროების შემთხვევაში ადგენენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით მიწის ნაკვეთის იდენტურობას.

-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგენს ინდივიდუალურ სამართლებრივ დოკუნენტს დაინტერესებულ პირის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით, რომლის საფუძველზეც გაიცემა საკუთრების დოკუმენტი, ადმინისტრაციულ ორგანოს თანამდებობის პირის ან მუნიციპალიტეტის მონაწილეობით.

2016 წლის 3 ივლისიდან უკვე ხდებოდა მუნიციპალიტეტში არსებული ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ მათზე შესაბამისად განცხადების მიმართვიდან არაუგვიანეს 7 დღისა გაიცემოდა შესაბამისი დოკუმენტი, კანონის ფარგლებში:

-დაბადების რეგისტრაციის თაობაზე, თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ, დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის გარეშე, რაც უმარტივებს მოსახლეობას შემდგომ შესაბამისი მაღალმთიანი ან მუნიციპალური შეღავათების მიღებაში.

-პირის გარდაცვალების რეგისტრაციის შესახებ სამოქალაქო ორგანოსთვის წარდგენა ეკისრება პირის გარდაცვალებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მუნიციპალიტეტის შესაბამის წარმომადგენელს შესაბამისი ოქმის შედგენით. დარგობრივ ზედამხედველობას ამ უფლებამოსილებების შესრულებაზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2016 წლის 31 ივლისიდან ამოქმედდა კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, რომლის საფუძველზე უკვე შეუძლიათ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის დაკანონება და შესაბამისი საკუთრების მოწმობის მიღება, რაც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია თვითმმართველ ერთეულების - მუნიციპალიტეტების,

მასზე დარგობრივ ზედამხედველობას ახდენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დელეგირებით გადაცემულია სამოქალაქო უსაფრთხოების უფლებები:

-სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სააგენტოსტან შეთანხმებით სასწავლო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ინფორმირება, მომზადება, გავარჯიშება;

-სამოქალაქო უსაფრთხოების მიზნით საგანგებო სიტუაციის, საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობის ევაკუაციის გადაწყვეტილბების მიღება.

-დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილების უზრუნველყოფა, აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;

-საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის გაფრთხილების უზრუნველყოფა

-ხანძრების ჩასაქრობად მუნიციპალიტეტის საზღვრებში შესაბამისი წყლის შესანახი, ხელოვნური თუ ბუნებრივი ავზების მოწყობა;

-ტყის მასივების ხანძრისაგან დაცვის ორგანიზება და გაჩენილი ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებებში მონაწილეობა;

-ხანძრის შესახებ მოსახლეობის და სახანძრო - სამაშველო დანაყოფების შეტყობინების ორგანიზება;

-ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასახლებული ტერიტორიების განვითარების გეგმებსა და პროგრამებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

-მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის ხელის შეწყობა;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათთვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეიმუშავებენ უწყებრივ სამოქმედო გეგმებს, უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

1.2. ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და დანიშნულება

საქართველოს ხელისუფლების მმართველობის დანაწილება ნიშნავს: ფუნქციების, კომპეტენციებისა და უფლებამოსილების გამიჯვნას სახელისუფლებო დონეებს შორის, პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე ცხადია, რომ ვერცერთი სახელმწიფო სტრუქტურა თუ ორგანიზაცია ვერ იმუშავებს ეფექტურად თუ არ მოხდება მასში უფლება-მოვალეობის გამიჯვნა. ცენტრალურ და ადგილობრივი ხელისუფლებას შორის უფლებამო-სილების გასამიჯნად, საჭიროა კარგად გაანალიზდეს ადგილობრივი თვითმმართველობის როლი, ადგილობრივ მუნიციპალიტეტის საზოგადოების წინაშე.

ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი მიზანი უნდა წარმოადგენდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს მუნიციპალური საქმიანობა თავიანთი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მთა-ვარ ფუნქციას მოიცავს: ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირება, უფლებამოსილების საქმიანობის განსაზღვრა და მისი მართვა, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვა, თვითმმართველობის ბიუჯეტის შედგენა, ბიუჯეტის განხილვა, დამტკიცება, მისი აღსრულება და კონტროლი ეფექტურ ხარჯვაზე, ასევე შეასრულოს ცენტრალურ ხელისუფ-ლებისგან მიღებული ფუნქციების განხორციელება. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა ადგილობრივი ხელისუფლების სამი მნიშვნელოვანი ფუნქცია:

1. საჯარო მომსახურების გაწევა- ამ მომსახურების გასაწევად ძირითადად საჭირო ექვსი კატეგორიის მომსახურების გაწევა, ესენია: სტრატეგიული, პირველადი მოთხოვნების დაკმაყოფილება (ჯანდაცვა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, განათლება, სოციალური დაცვა), საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა (წესრიგი, კანონის აღსრულება), კომფორ-ტის შექმნა (გზები, ტრანსპორტი, დასასვენებელი ადგილები), რეგისტრაცია და ლიცენზია, ამ მომსახურებების შესრულებისას გასათვალისწინებელია ადგილობრივი მოთხოვნებისა და

საჭიროებების დაკმაყოფილება, მაღალი სტანდარტების მისაღწევად რესურსების ეფექტურად გამოყენება.

2. მდგრადი განვითარება - ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიები გდგრადი განვითარების განხორციელება, როგორც გამოცდილებიდან ცნობილია, რომ მხოლოდ ეკონომიკის განვითარება არ განაპირობებს ადამიანთა საზოგადოების მდგრად განვითარებას, ცხოვრების ხარისხს და რესურსებზე თანასწორ ხელმისაწვდომობას. ადგილობრივი თვითმმართველი ხელისუფლების გადაწყვეტილებები უნდა იყოს გათვლილი გრძელვადიან პერიოდზე. მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებით შეიძლება ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. მდგრადი განვითარება იძლევა ჩარჩოებს, რომლებშიც მუნიციპალიტეტებმა შეიძლება საკუთარი რესურსები ეფექტიანად გამოიყენონ, შექმნან ქმედითუნარიანი ინფრასტრუქტურა, დაიცვან და განავითარონ ცხოვრების დონე. მდგრადი განვითარება არის გარანტია ადგილობრივი თვითმმართველობაში იმგვარი ჯანმრთელი გარემოს არსებობისა, რომელიც უნდა ემსახუროს როგორც ჩვენს, ასევე მომდევნო თაობებს.

3. სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა- როგორც ცნობილია საქართველო წარმოადგენს მრავალეროვან ქვეყანას, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელთა დიდი ნაწილი არ ფლობს ქართულ ენას, შესაბამისად არ არიან ეს მოქალაქეები - იმფორმირებული ქვეყანაშ მიმდინარე პროცესების შესახებ, რაც არის ხელისშემშლელი საზოგადოებასთან ინტეგრაციისას, ამ შემთხვევაში კი ადვილადაა შესაძლებელი წარმოიშვას საზოგადოებრივი დაპირისპირება, რაც უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე, შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლების როლი დიდია ამ საკითხის მოგვარებაში, ყოველთვის უნდა ცდილობდეს იმ გზების ძიებას, რაც მინიმუმამდე დაიყანს საზოგადოებრივ კონფლიქტებს.

ისტორიული ცნობები და ცხოვრება გვასწავლის, რომ ინტეგრაცია და სამოქალაქო მშვიდობიანობა დამყარებულია სხვადასხვა ეროვნები ხალხისა და საკუთარი ერის პატივისცემაზე, მათი უფლებების დაცვაზე და ძალაუფლების დეცენტრალიზაციაზე, რაც ხელს უწყობს მრავალმხრივ ინტერესების დაცვას ადგილობრივ თვითმმართველობის დონეზე. არსებობს უფლებამოსილებათა განხორციელებების 5 ძირითადი ფორმა: **ადმინისტრირების; მომსახურების; დაფინანსების; მარეგულირებელი; საინვესტიციო.**

ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებრივი საქმეების დადებითად მოწესრიგება, უკეთ და ეფექტურად განხორციელებისთვის კი საჭიროა მოწესრიგდეს თვით ამ საზოგადოების ჩარევით, ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა უპირველესად არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია, რომლებმაც ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ საზოგადოებისთვის საერთო ინტერესების საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის საზოგადოება კი არის თვითმმართველობის უმთავრესი სუბიექტი, რომელთა უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნლოვანი საკითხების მოწესრიგება, ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა და ადგილობრივი საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ჩართულობაა. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის მოქალაქეთა ჩათულობა თვითმმართველობის განხორციელებაში, არის ერთ-ერთი უმთავრესი დამოუკიდებლობის გარანტი და შეფასების მთავარი კრიტერიუმი, რაც მეტი ოდენობით იქნებიან მოქალაქეები ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში, მით მაღალი იქნება თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი. ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ადგილობრივი საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემათა დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება, საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვის შესაძლებლობა და საკუთარ თანასაზოგადოების ბედზე პასუხისმგებლობა.

თავი II. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სისტემა და პროცესი

2.1. ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს საჯარო ფინანსები, რომელიც მოწონებულია ამავე ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, საჯარო ფინანსები მოიცავს ადგილობრივი მმართველობის ყველა დონის ბიუჯეტს, ის ყალიბდება სახელმწიფო დაფინანსებითა და ადგილობრივი გადასახადებით, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს და განსაზღვრავს თვითმმართველობის განვითარების მრავალ პარამეტრებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი წარმოადგენს ასევე ქვეყნის ცენტრალურ ელემენტს, რომლიც ძირეულ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე. ბიუჯეტი არის სხვადასვა დონის, რომელთა ერთიანობა ქმნის საქართველოს მთავარ საბიუჯეტო სისტემას, რომელიც მოიცავს:

- საქართველოს სახელმწიფი ბიუჯეტს;
- ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტებს;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებს.

ბიუჯეტი- როგორც ქვეყნის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი დოკუმენტია, რომლის სწორად დაგეგმვა და აღსრულება თვითმმართველობის ეკონომიკური წინსვლისა და განვითარების საწინდარია. თვითმმართველობის ბიუჯეტი უნდა ასახავდეს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკის პრიორიტეტებს, რათა მივიღოთ ძრიერი, განვითარებული და წელში გამართული საზოგადოება, რომელთა ცხოვრების დონე დამოკიდებ-

ულია ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლის საფუძვლზე შეეძლებათ მოსახლეობას ადგილზე მიიღონ მაღალი ხარისხის მომსახურება და სერვისები.

საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტის ნაწილად ითვლება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები, აღნიშნულ თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე, ისევე როგორც ქვეყნის ბიუჯეტებზე მოქმედებს საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის, ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, კონსოლიდირებისა და უნივერსალურობის პრინციპები. ადგილობრივი ბიუჯეტების ურთიერთობა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში შემავალ სხვა ბიუჯეტებთან უზრუნველყოფილია ერთიანი სამართლებრივი ბაზით, ფულადი სისტემის ერთიანობით, ერთიანი საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკით, საბიუჯეტო პროცესის ერთიანი პრინციპებისა და კლასიფიკაციის გამოყენებით, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და მისი შესრულების ანგარიშების ერთგვაროვან წესით, ასევე, დამტკიცებული ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ინფორმაციის გადაცემის სავალდებულობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და დამტკიცება ხდება თვითმმართველობის კოდექსით, საბიუჯეტო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას აუცილებელია ასევე და გაითვალისწინება დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლის შემოსულობებისა და გადასახადების პროგნოზს. ,,ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირდება ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით, ხოლო გადასახდელების განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინონ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში ასახული მუნიციპალიტეტების პრიორიტეტები. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების 5 წლიან სტრატეგიას, რომელსაც ყოველწლიურად შეიმუშავებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეროვნულ ბანკთან ერთად,'' (**საქართველოს …. 2010:მუხლი** 14).

ადგილობრი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვისას ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ მხარჯავ დაწესებულებას (მაგ: კულტურის ცენტრს, კომუნალურსერვის და ა.შ სხვას) უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს სავარაუდოდ ამ დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხებისა და დასაქმებულთა ზღვრული საორიენტაციო ოდენობის მითითებით. (მაგალითად: ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო წინასწარ გასაზღვრავს სავარაუდოდ რამდენი თანხა იქნება გამოყოფილი მომდევნო წლისთვის კულტურის ცენტრისთვის და აძლევს მითითებას თუ რა რაოდენობას არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულთა რაოდენობა) ამავდროულად კულტურის ცენტრმა შესაძლებელია მიიღოს მითითებულზე მეტი დაფინანსება და დასაქმებულთა მეტი რაოდენობა თუ ის საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო განაცხადთან ერთად წარუდგენს ამ მოთხოვნათა დასაბუთებულ საჭიროებებსა და მიზნებს. როგორც ცნობილია ამ პროცესების განხორციელებისთვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული 1 მარტიდან გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს სადაც განსაზღვრულია ბიუჯეტის პრიორიტეტების ნუსხა, იქმნება შესაბამის მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფი (მერი, მოადგილეები, საფინანსო სამსახური, საკრებულოს წარმომადგენლები, დარგობრივი სამსახური, სამოქალაქო საბჭოს წევრი) სამუშაო ჯგუფი ახდენს მოსახლეობის გამოკითხვას თუ რამდენად არის მოსახლეობა კმაყოფილი წინა წელს განხორციელებული პროგრამებით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომელსაც სჭირდება განხორციელება მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, სამუშაო ჯგუფი იქმნება ძირითადად პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ თვითმმათველობის მუნიციპალიტეტს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად პარამეტრებს, ამ პარამეტრებზე დაყრდნობით ბიუჯეტის პროექტის შემოსულობებსა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს წარუდგენს შესაბამის საკრებულოს, რომელთა მიერ განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მზადდება ბიჯეტის პროექტი შესაბამისი შემოსავლებისა და -

გასავლების ნაშთის ცვლილების გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანოს მიერ, რომლის შემდეგ ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განსახილველად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არაუგვიანეს 5 ოქომბრისა მუნიციპალიტეტეს აცნობებს მათთვის გადასაცემ მიზნობრივ ტრანსფერებს, დახმარებებსა და შემოსავლების მაჩვენებლებს, ამის შემდეგ კი ხდება არაუგვიანეს 15 ნოემბრისა მერის მიერ ბიუჯეტის პროექტის, თანდართული მასალებით ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენა, ასევე ბიუჯეტის პროექტთან ერთად ხდება პრიორიტეტების დოკუმენის წარდგენა, რომელიც წარმოადგენს ადგილობრიი თვითმმართველობის განვითარების საშუალოვადიან გეგმას.

ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტების გეგმა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

-ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახადების შესახებ;

-ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტებს;

-პრიორიტეტების განსახორციელებლად ძირეული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიზნებსა და შედეგებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ძირითადი პრინციპი დამყარებულია მის საჯაროობაზე და გამჭვირვალობაზე, ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ხდება მისი გამოქვეყნება საჯარო განხილვისთვის და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. მაგალითად: ვთქვათ, ერთ-ერთმა ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტის გამგებელ/მერმა ბიუჯეტის პროექტი წარადგინა საკრებულოში განსახილველად 15 ნოემბერს, მაშინ საკრებულო 20 ნოემბრამდე ვალდებულია ბიუჯეტის პროექტი გამოაქვეყნოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ საინფორმაციო საშუალებით ან ადგილობრივ გაზეთის საშუალებით. ამის შემდეგ ხდება ბიუ-

ჯეტის პროექტის საჯაროდ განხილვა ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, გადაწყვეტილება ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, მიიღება საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავ-ლესობით, თუ წარმოდგენილ ბიუჯეტის მიმართ იქნება შენიშნები, მაშინ არაუგვიანეს 25 ნოემბერსა, ბიუჯეტის პროექტს უბრუნებს, გამგებელ/მერს, შესაბამისი ცვლილებების, შენიშვნების გათვალისწინებისათვის. გამგებელი/მერი, არაუგვიანეს 10 დეკემბრისა ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს უბრუნებს საკრებულოს. საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის განხილვისას მასში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ გამგებელთან/მერთან შეთანხმებით. თუ საკრებულომ არ დაამტკიცა გამგებლის/მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი, ან გამგებლის/მერის მიერ საკრებულოს შენიშვნების გაუზიარებლობის შემთხვევაში– ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი რედაქცია, საკრებულო უფლებამოსილია, სიითი შემადგენლობის 3/5-ით დაამტკიცოს საკრებულოს ფრაქციის ან საკრებულოს სიითი შემადგენლობის არა ნაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს მიერ გამგებლისათვის/მერისათვის გაგზავნილი შენიშვნები ან მათი ნაწილი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა დუმტკი-ცებელი ბიუჯეტის მქონე მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს და საკრებულოს ვადამდე შეუწყვეტს უფლებამოსილებას, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მართველობა გადადის სახელმწიფო მმართველობის ქვეშ, რომლის მმართველობის განმახო-რციელებელი პირის წარდგინებით ამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. მუნიციპალიტეტი ბიუჯტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 დღისა პრიორი-ტეტების დოკუმენტს უგზავნის ფინანსთა სამინისტროს, დამტკიცებული ბიუჯეტის გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს საინფორმაციო საშუალებებით, რომელიც ხელმისა-წვდომი იქნება საზოგადოების ყველა ფენისთვის, ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ბიუჯეტის კვარტალურად

ყოველთვიურ გაწერას ახდენს, ელექტრონული სისტემით. თითოეულ მხარჯავ დაწესებულებას აწვდის ინფორმაციას მისთვის გამოყოფილი ასიგნების შესახებ. საბიუჯეტო ორგანიზაციები აწარმოებენ ბიუჯეტის ასიგნებით გათვალისწინებულ გადახდებს და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელნი არიან შემოსავლების აკრეფაზე (მაგალითად: დასუფთავების სამსახურს შეიძლება დაევალოს დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება). ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება სახაზინო მომსახურების პრინციპით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით (მაგალითად: თუ თვითმმართველი ერთეული გასცემს მშენებლობის ნებართვას, მიმღები პირი ვალდებულია მოსაკრებელი გადაიხადოს (ჩარიცხოს) კომერციული ბანკის მეშვებით ხაზინის ერთიან ანგარიშზე, თავის მხრივ ხაზინა უზრუნველყოფს აღნიშნული თანხის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გადარიცხვას), აქედან გამომდინარე შესაძლებელია ცხადად ვთქვათ, რომ ადგილობრივ თვითმმართველი ორგანოსთვის გადაცემული მეტი უფლებამოსილება, მუნიციპალიტეტის მეტ შემოსავალს, თვისი ხედვის ფარგლებში მეტ განვითარებას ნიშნავს. ასევე ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოს აქვს უფლება დამტკიცებულ ბიუჯეტში შეიტანოს ცვლილება და ასახოს ის დამატებითი თანხები, რომლებიც შეიძლება გამოყოფილი იქნას პრეზიდენტის ან მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. ცვლილება უნდა გახორციელდეს ერთი თვის ვადაში მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის ბოლომდე, ეს პროცესები უნდა განხორციელდეს რათქმაუნდა წარმომადგენლობით ორგანოსთან შეთანხმებითა და დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საბოლოო ჯამში ამ წარმომადგენლობით ორგანოს.

2.2. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები; ბიუჯეტის შემოსულობები

2019 წლამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შევსება ხდებოდა სხვადასხვა საშემოსავლო მეთოდებით: ადგილობრივი გადასახადებით, ადგილობრივი მოსაკრებლებით, არასაგადასახადო შემოსავლებით, ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერების სახით, სესხებითა და გრანტებით, ამ შემოსავლების ერთობლიობით კი იქმნებოდა თვითმმართველობის ბიუჯეტი, რომელიც საფუძველს წარმაოდგენდა განეხორციელებინა მინიჭებული უფლებამოსილება თავიანთი მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებული ფინანსური რესურსების ერთობლიობა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობებს. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“[2] ბიუჯეტის შემოსულობებს განმარტავს, როგორც საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის გადასახდელების (ხარჯების) დაფინანსებას. ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო შემოსულობები შედგება, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული, სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლებიდან.

თვითმმართველი ერთეულების შემოსულობები 2019 წლამდე მდგომარეობით

ნახაზი №1.

[2] საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი", თბილისი, 2009, №2440–IIს



შენიშვნა: ნახაზი №1 შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსზე დაყრდნობით (თბილისი, 2009, №2440–IIს) https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=39

,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“[3] თანახმად, ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსულობები შედგება საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობებისგან.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებია:

- ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები;

-გათანაბრებითი ტრანსფერი;

-საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსულობები;

-ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსულობებია:

-სპეციალური ტრანფერი; - მიზნობრივი ტრანსფერი; -კაპიტალური ტრანსფერი;

[3] საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი", თბილისი, 2009, №2440–IIს

-საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსულობები.

ზოგადად ბიუჯეტის ზუსტად, სწორი და სრულყოფილად აღრიცხვისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილია სპეციალური საბიუჯეტო კლასიფიკაცია, სადაც ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახადები იყოფა ცალკეულ ჯგუფებად კრიტერიუმების, სპეციფიკისა და ნიშნების მიხედვით. შემოსულობები კლასიფიცირდება ოთხ ძირითად ნაწილად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად, ფუნქციების მიხედვით. კლასიფიკაციის შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს: შემოსავლებს, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსავლებს და -ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებულ შემოსავლებს. განვიხილოთ ადგილობრივი თვითმმართველობების, კერძოდ: ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების შემოსულობები 2015-2018 წლების (მლნ ლარებში) გამოსახული გრაფიკის სახით.

ქედის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 2015-2018 წლები (მლნ ლარი)

გრაფიკი №1.



წყარო: ბიუჯეტის მონიტორი, სახელმწიფო აუდიტის ანალიტიკური პორტალი
https://budgetmonitor.ge/ka/municipality?fbclid=IwAR0Vd-FMKD3fd8dWjOsh0gRL6dhiZ8S85IO4NctWg7Jr5rhJ6F9YRsS8dnk#tab-1

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ქედის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობები 2015 წელთან (7,444,038 ლარი) შედარებით იზრდება და მცირდება, 2016 (10,249,918 ლარი) და 2018 (10,114,522 ლარი) წლების მონაცემები მზარდია,ხოლო 2017 წლის (9,532,317 ლარი) საბიუჯეტო შემოსულობები კლებადია. მცირედით განსხვავებული დინამიკაა შუახევის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობების ზრდისა და კლების კუთხით (იხ.გრაფიკი 2).

შუახევის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 2015-2018 წლები (მლნ ლარი)

გრაფიკი №2.



წყარო: ბიუჯეტის მონიტორი, სახელმწიფო აუდიტის ანალიტიკური პორტალი https://budgetmonitor.ge/ka/municipality?fbclid=IwAR0Vd-FMKD3fd8dWjOsh0gRL6dhiZ8S85IO4NctWg7Jr5rhJ6F9YRsS8dnk#tab-1

მოცემული მონაცემების მიხედვით 2016 წელს (9,045,500 ლარი) 2015 წელთან (8,815,500 ლარი) შედარებით შუახევის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობები უმნიშვნელოდაა გაზრდილი, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო წლის საბიუჯეტო შემოსულობების მონაცემებზე, ნათლად ჩანს ამ ბოლო ორ წელს შორის სხვაობა, საბიუჯეტო შემოსულობები 2017 წელს (15,430,000 ლარი) ნახტომისებურად არის გაზრდილი, რასაც საკმაო შემცირება მოსდევს 2018 წელს (11,147,400 ლარი). განსხვავებული თავისებურებით გამოირჩევა ხულოს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობების ბოლო ოთხი წლის მონაცემები, ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყველაზე მაღალი შემოსავალი 2017 წელს (14,299,600 ლ) ფიქსირდება, რომელიც ნაკლებია ერთ მილიონ ლარზე მეტით შუახევის მუნიციპალიტეტის 2017 წლის (15,430,000 ლარი) ყველაზე მაღალ საბიუჯეტო შემოსავალზე, მონაცემზე. (იხ. გრაფიკი 3).

ხულოს მუნიციპალიტეტის შემოსულობები 2015-2018 წლები (მლნ ლარი)

გრაფიკი №3.



წყარო: ბიუჯეტის მონიტორი , სახელმწიფო აუდიტის ანალიტიკური პორტალი https://budgetmonitor.ge/ka/municipality?fbclid=IwAR0Vd-FMKD3fd8dWjOsh0gRL6dhiZ8S85IO4NctWg7Jr5rhJ6F9YRsS8dnk#tab-1

მართლაც ხულოს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობები 2015 წლიდან (9,817,150 ლარი) 2016 წელი (13,079.930 ლარი), 2017 წლის (14,299,600 ლარი) ჩათვლით არის საგრძნობლად გაზრდილი, რასაც ვერ ვიტყვით 2018 წლის (11,392,500 ლარი) საბიუ-ჯეტო შემოსულობებზე, ის საკმაოდ შემცირებულია

ადგილობრივი გადასახადები - როგორც ნებისმიერი ქვეყნისთვის ასევე საქართვე-ლოსთვის ადგილობრივი თვითმმართელობის ბიუჯეტების მთავარი შემოსავლის წყაროს გადასახადები წამოადგენს. გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების წესები, ნორ-მები და ჩარჩოები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის თანახმად შესაბამისი კანო-ნით. ეს ნორმა კი წარმოადგენს ერთგვარ მუხრუჭს ადგილობრივი თვითმმართველობის მოქნილობის ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში. ადგილობრივი გადასახადების დაწე-სება და გაუქმება, შესაბამისი საგადასახადო ზღვრების დადგენა ხდება კანონის ფარგ-ლებში, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ, რომელთა აკრეფა სავალდებულოა შესაბამის თვითმმართველობის ტერიტორიაზე, ბიუჯეტის შევსების მიზნით. **„საგადასახადო კოდექსი”**[4]-ის მიხედვით, საერთო-სახელმწიფოებრივ გადასა-ხადებს განეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული

[4] საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2009, №3591–IIს17/09/2010

ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი და საბაჟო გადასახადი, ხოლო ადგილობრივ გადასახადებს კი - ქონების გადასახადი. ქონების გადასახადი ერთადერთი ადგილობრივი გადასახადია და ის მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება. ქონების გადასახადს იხდიან ფიზიკური პირების და საწარმოები როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებაზე და მისი გადახდა ხდება ყოველ კვარტალურად, დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

განვიხილოთ ადგილობრივი თვითმმართველობების, კერძოდ - ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების - საბიუჯეტო გადასახდელები 2015-2018 წლების (მლნ ლარებში) მონაცემებზე დაყრდნობით, ქვემოთ გამოსახული გრაფიკების სახით.

ქედის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 2015-2018 წლები (მლნ ლარი)

გრაფიკი №4.



წყარო: ბიუჯეტის მონიტორი , სახელმწიფო აუდიტის ანალიტიკური პორტალი https://budgetmonitor.ge/ka/municipality?fbclid=IwAR0Vd-FMKD3fd8dWjOsh0gRL6dhiZ8S85IO4NctWg7Jr5rhJ6F9YRsS8dnk#tab-1

საბიუჯეტოს შემოსულობების დინამიკის მსგავსია ქედის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადასახდელების მონაცემები, 2016 წელს (10,035,768 ლარი) საბიუჯეტო გადასახდელები 2015 წელთან (7.967,645 ლარი) შედარებით დაახლოებით 2 მლნ ლარით არის გაზრდილი, ხოლო 2017 წელს (9,603,159 ლარი) სადღაც ნახევარი მლნ ლარით არის შემცირებული, თუმცა 2018 წელს (10,373, 933 ლარი) ისევ საბიუჯეტო გადასახდელების ზრდა ფიქსირდება. საბიუჯეტო შემოსულობების ანალოგიურად გამოიყურება შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო გადასახდელების მონაცემებიც ბოლო 4 წლის მიხედვით.

კერძოდ, შუახევის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადასახდელები ციფრობრივი მონაცემები ასეთია: 2015 წელი -8,815,500 ლარი 2016 წელი - 9,045,500 ლარი, 2017 წელი -15,429,900 ლარი და 2018 წელი - 10,495,400 ლარი, რაც შეეხება ხულოს მუნიციპალიტეტს, მისი საბიუჯეტო გადასახდელები ასე გამოიყურება: 2015 წელი – 11,245,337 ლარი, 2016 წელი – 13,536,779 ლარი, 2017 წელი – 14,714,300 ლარი და 2018 წელი – 20,930,600ლარი (იხ. გრაფიკი 5-6).

შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის გადასახდელები 2015-2018 წლები (ლარი)

გრაფიკი № 5-6.





წყარო: ბიუჯეტის მონიტორი , სახელმწიფო აუდიტის ანალიტიკური პორტალი https://budgetmonitor.ge/ka/municipality?fbclid=IwAR0Vd-FMKD3fd8dWjOsh0gRL6dhiZ8S85IO4NctWg7Jr5rhJ6F9YRsS8dnk#tab-1

2019 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება ახალ მეთოდზე გადავიდა, კერძოდ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ადგილობრივ თვითმმართველობებს აღარ ეძლევათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ყველა საშემოსავლო გადასახადი მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში, ხოლო ამის სანაცვლოდ კი თვითმმართველობებს ჩაურიცხავს დღგ-ს სახით ცენტრალურ ბიუჯეტში შესული თანხის 19 %-ს. მთავრობა კი ამ ცვლილებას უკავშირებს დეცენტრალიზაციის გამტკიცებას და ამახვილებს ყურადღებას, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შესაბამისად გაიზრდება თვითმმართველობების შემოსავალი, რაც გაზრდის მათ დამოუკიდებლობას.

ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსება ძველი მეთოდით (საშემოსავლო გადასახადი და გათანაბრებითი ტრანსფერი) 2019 წლისთვის იქნებოდა 900,6 მლნ. ლარი, რაც 2018 წელთან შედარებით 61,9 მლნ. ლარით მეტია, ხოლო დაფინანსების ახალი მეთოდით მუნიციპალიტეტების დაფინანსება შეადგენს 2019 წლისთვის 946,6 მლნ. ლარს რაც 2018 წლის მონაცემებთან შედარებით 107,9 მლნ. ლარით მეტია, ძველი სისტემით დაფინანსების შემთხვევაში კი 46 მლნ. ლარით მეტია, ეს მაჩვენებლები გათვლილი და ნახსენებია 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში.

თვითმმართველი ერთეულების შემოსულობები 2019 წლის მდგომარეობით

ნახაზი №2.



წყარო: შენიშვნა: ნახაზი №2 შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსზე დაყრდნობით (თბილისი, 2009, №2440–IIს) 2019 იანვრიდან თვითმმართველობების დაფინანსების ახალი წესის შესაბამისად. https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=39

საშემოსავლო და გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველობების, როგორც წესი ფინანსდება უკვე დღგ-ის სახით მიღებული შემოსავლიდან შემ-

დეგი კრიტერიუმებით: კერძო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაფინანსება დღგ-ს 19 პროცენტიდან განაწილდება, 60 % -ს მიიღებენ მუნიციპალიტეტები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით; 15 %-ს მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის მიხედვით; 10 %-ს მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე მოზარდების მიხედვით; 10 % -ს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსის მქონე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და 5 %-ს მიიღებენ მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით.

ახალი სისტემით ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსებას, როგორც დადებითი ასევე მას ახასიათებს უარყოფითი მხარე, ერთ-ერთად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში არ ხდება ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება, რადგანაც ეკონომიკური განვითარება მის შემოსავალზე ნაკლებად აისახება, მუნიციპალიტეტის მიერ მოზიდული ინვესტიციები, შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები, ვერ გაზრდის მის ფინანსურ შემოსავალს, ერთ - ერთი შემოსავალი მუნიციპალური შემოსავლიდან რჩება ქონების გადასახადი, რომელიც ვერ გაზრდის მის ძირითად შემოსავალს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ძირითადი თანხის განაწილება ადგილობრივ თვითმმართველობებისთვის უკავშირდება მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც შეადგენს 85%-ს. დაფინანსების ახალი მოდელით, მუნიციპალიტეტის შემოსავალი შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მთელს ქვეყანაში გაიზრდება მშპ. ამიტომაც, არ აქვს მნიშვნელობა, კარგად იმუშავებს მუნიციპალიტეტი, თუ ცუდად, იქნება აქტიური, ინიციატივიანი თუ საქმეზე ორიენტირებული ვინაიდან მას ბიუჯეტი მხოლოდ იმდენით მოემატება, რამდენადაც გაიზრდება ქვეყნის მშპ.

2.3. პროგრამული ბიუჯეტი და ხარჯების ეფექტიანობა (სოციალური პროგრამები)

პროგრამული ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი კომპონენტი პროგრამაა, რომელიც თავისი არსისა და დანიშნულების მიხედვით შესაძლებელია დაიყოს ქვეპროგრამებად და ღონისძიებებად.

ადგილობრივი თვითმმართველობა გარკვეული პრიორიტეტებისა და მიზნების მისაღწევად აყალიბებს პროგრამას, რომელიც წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას და დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, გაწერილია და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში, ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სახის რამდენიმე პროგრამა, რომლის მთავარი არსი და დანიშნულება უნდა იყოს მისი შესაბამისობა პრიორიტეტულ მიმართულებებთან. ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი. თუ ძირითადი ფუნქციისა და ადმინისტრირების ხარჯების გამიჯვნა ან გამოყოფა თითოეული პროგრამის მიხედვით შეუძლებელია, ადმინსიტრირების ხარჯებიც უნდა გაერთიანდეს რომელიმე ძირითად პროგრამასთან.

განხორციელებისა და ხანგრძლივობის მიხედვით პროგრამები შეიძლება დაიყოს:

-მიმდინარე (მუდმივი) პროგრამა - მოიცავს თვითმმართველობის ძირითად განსახორციელებელ ფუნქციას, რომლის განხორციელება ხდება მუდმივად.

-მრავალწლიანი პროგრამა -მოიცავს, რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი სისტემისა და მომსახურების დანერგვას.

-ერთწლიანი (მოკლევადიანი) პროგრამა- მოიცავს რომელიმე პროგრამის განხორციელებას რომლის შესრულება გათვალისწინებულია ერთწლიან პერიოდში.

-მოკლევადიანი პროგრამა- არ წარმოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს და ხდება მისი დასრულება მცირე პერიოდში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოების დაფინანსება და აღნიშნული პროგრამის აღწერა სავალდებულო არ არის, ვინაიდან მასში უმეტეს შემთხვევებში ერთიანდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ხარჯები, სარეზერვო ფონდი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, ასევე მსგავსი შინაარსის სხვა ღონისძიებები. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული პროგრამები ორიენტირებულია კონკრეტულ, გრძელვადიან შედეგებზე, რომელიც ემსახურება მუდმივ მიზანს მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, მომსახურებას უწევს ბენეფიციარებს და არ ახდენს სუბსიდირებას, შედგენილ პროგრამის ქვეშ ჩაშლილია ქვეპროგრამები მისი მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით. სუბსიდირების პროგრამები მიზნად ისახავს სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით.

ადგილობრივი თვითმმართველობების ინფრასტრუქტურული პროგრამები ემსახურება ძირითადად მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეკონსტრუქციას, რეაბილიტაციას, აღჭურვას და სხვას. ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია იგი დაიყოს ძირითად მიმართულებებად ან ქვეპროგრამებად, რომლის მიზანიც იქნება დასახული კონკრეტული შედეგის მიღება. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იგივე ტიპებად, როგორც პროგრამები: მომსახურების მიწოდება, სუფსიდირება ინფრასტრუქტურილი პროექ-

ტების, მართვის რეგულირება. ქვეპროგრამების განხორციელება დაკავშრებულია შუალე-დურ შედეგებთან,რომლის განხორციელების შემდეგ უნდა მივიღოთ დასახული კონკრე-ტული შუალედური შედეგი, შესაბამისად ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად შესრულდება პროგრამის მისიაც, რაც წარმოადგენს პროგრამის განხორციელების საბო-ლოო შედეგს. პროგრამის შედგენისას უნდა იქნას გათვალისწინებული და გაწერილი თავი-სი შინაარსიდან გამომდინარე დასაგეგმი პერიოდის მაშტაბი, კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია მოცემული კონკრეტული წლის განმავლობაში. ასევე ქვეპროგ-რამები თავის მხრივ შეილება ჩაიშალოს ღონისძიებებად.

ღონისძიება შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ცალკე ან რამდენიმე საქმიანო-ბათა ერთობლიობა, რომლის განხორციელებით უნდა მივიღოთ მოკლევადიანი შედეგი. მაგალითად: ტენდერის გამოცხადება, საოფისე ინვენტარის შეძენა, შეხვედრებისა და კონ-ფერენციების ორგანიზება და სხვა. ღონისძიებების დაფინანსება უმეტესწილად არ ხდება პროგრამის ბიუჯეტის ძირითად თავში, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც უნდა იყოს გაწერილი პროგრამის, ქვეპროგრამისა და გასატარებელი ღონისძიებების ძირეული ჩამონათვალი, ვინაიდან თითეული ელემენტის წარმატებულად განხორციელებაზეა დამოკიდებული მთლიან პროგრამის შესრულების ხარისხი. სხვადასხვა სახის პროგრამების ძირითადი მიზანი საშუალოვადიან პერიოდში უნდა იყოს გათვლილი მის ეფექტიან შესრულებაზე. მაგალითად: თუ ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტია ინფრასტრუქტურის განვითარება, საგზაო პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობაში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება რაც ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის აღწერა, პროგრამის მიზნის გარდა, უნდა მოიცავდეს მის ქვეპროგრამებს/ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება იგეგმება პროგრამის განხორციელების ეტაპზე, აგრეთვე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ პირთა წრის შესახებ, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ბენეფიციარს.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული პროგრამის შემადგენელი ნაწილის ქვეპროგრამის მიზანი დაკავშირებულია იმ პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა, შესაბამისად პროგრამის ერთ-ერთი საბოლოო შედეგის დადგომასთან. მაგალითად: საგზაო პროგრამის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს გზების ორმული შეკეთება, რომელიც დაკავშირებულია მის ქვეპროგრამაზე და თავის მხრივ ხელს უწყობს საგზაო პროგრამის ერთ-ერთი შედეგის მიღებას. პროგრამული ბიუჯეტის მთავარი არსი და მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი და მიღებული ის შედეგი, რისთვისაც ხორციელდება ესა თუ ის პროგრამა.

პროგრამულ ბიუჯეტში განიხილება შუალედური და საბოლოო შედეგები.

პროგრამის შუალედური შედეგი - თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. შუალედური შედეგი უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

პროგრამის საბოლოო შედეგი - არის მდგომარეობა, რომელიც პოგრამის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს, საბოლოო შედეგი გულისხმობს პრობლემის სრულად აღმოფხვრას. საბოლოო შედეგი უმეტესწილად მიიღწევა მრავალწლიან შრომისა და მცდელობის შედეგად და მისი განხორცილება გულისხმობს პროგრამის მთლიან ან არსებული ფორმით შეწყვეტას. ეს არის ის მომენტი, რომელიც იყო წინასწარ გააზრებული დაგეგმილი და მისი განხორციელების შედეგად უნდა მივიღოთ.

არსებობს ისეთი პროგრამები, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთ-

ხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი. ადგილობრივი თვითმმართველობის ქვეპროგრამების და ღონისძიებების შუალედური და საბოლოო შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია საბიუჯეტო ორგანიზაცია ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი. საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის დადგომის ვადა, უმეტეს შემთხვევაში, ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული. წლიურ ბიუჯეტში გაწერილი უნდა იყოს დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგების აღწერა-პრიორიტეტების დოკუმენტში. მიღებული შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგების მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამების, ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოიყენება შესრულების ინდიკატორები, რომელიც იძლევა მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს დასახული პროგრამა მიზანს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისა და გამოყენებისას საჭიროა გააზრება, თუ - რა განსხვავებაა პროგრამის შუალედურ და საბოლოო შედეგებს შორის.

პროგრამების, ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოიყენებული ინდიკატორები

ნახაზი №3.



წყარო: გ.ხოდელი, ზ.ბროლაძე, შ.ჯულაყიძე, საჯარო ფინანსებისა და ქონების მართვის სახელმძღვანელო, USAID დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამა, თბილისი, 2014
http://resources.ctf.org.ge/6%20sajaro%20finansebi.PDF

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი გრძობითია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 ინდიკატორი.

შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

სასარგებლო–პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;

შედეგზე ორინტირებული–უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას;

ნათელი და გაზომვადი–იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;

შესაბამისი და მიღწევადი–ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;

შედარებითი–უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.“ (**ხოდელი, 2014:12**)

ხარჯების ეფექტიანობა - ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის პროგნოზირების შემდეგ, უნდა მოხდეს ხარჯვითი ნაწილის (გადასახდელების და ანგარიშგება) შედგენა. გადასახდელების დადგენა მნიშვნელოვანი ამოცანაა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოხდება საბიუჯეტო რესურსების გამოყენება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სფეროების დასაფინანსებლად. მუნიციპალიტეტებმა უნდა განახორციელონ კომპეტენციების შესაბამისი ხარჯვა, ანუ საბიუჯეტო სახსრები ეფექტურად გამოიყენონ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების დასაფინანსებლად. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გასაწევი ხარჯების ეფექტიანად გახარჯვისთვის ერთ-ერთ აუცილებელ გასათვალისწინებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს მუნიციპალიტეტში შემავალი თითოეული ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების შესწავლა, მათი გადაჭრის გზების მოძიება, მოსახლეობასთან კომუნიკაციისას მათი მოთხოვნების, საჭიროებების, რჩევების გათვალისწინება, სოციალურ -ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა, ადმინისტრაციული ერთეულებში ინვესტირების მიმართულებების გზების გათვლა, მოსახლეობის ჩართვა ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, ტერიტორიების კეთილმოწყობაში და ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტის თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში ამ პრინციპით განხილული საკითხებისა და პრობლემების გათვალისწინება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მოგვცემს **ხარჯების ეფექტიანობას,** რაც

საუკეთესო წინაპირობა იქნება სწრაფად და ეფექტურად განვითარდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთა სიძლიერე ნიშნავს ძლიერ და განვითარებულ ადგილობრით თვითმმართველ ერთეულებს, ეს კი აისახება საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაზე და ეკონომიკურ აღმავლობაზე.

სოციალური პროგრამები - როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სიღარიბის შემცირება და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს თვითმმართველ ერთეულში სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და მათზე სარჩოს შესაძლებლობის მიცემას. სოციალური დახმარების პოლიტიკა კი მმართველობის ყველა რგოლისათვის მიმართულია უკიდურესი სიღარიბისაგან გამოწვეული შოკებისგან მოსახლეობის დაცვაზე. ერთ-ერთი სოციალური პროგრამა, სოციალური შემწეობის გაცემა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ნაწილობრივ ჭრის ამ ოჯახების პრობლემას, მათ უჩნდებათ საარსებო მინიმუმი, თუმცა სწორად უნდა მოხდეს ბენეფიციართა ოჯახების შერჩევა, უმწეოთა გამოვლენის მეთოდოლოგიის კიდევ უფრო დახვეწა, რათა ყოველივე ამან არ გამოიწვიოს შრომისუნარიანი მოსახლეობის დემოტივირება და პასიურ მდგომარეობაში დარჩენის სტიმულირება, რაც გაზრდის უმუშევრობის დონეს, ეს კი დააწვება მხრებზე როგორც სახელმწიფოს ასევე ადგილობრივ თვითმმართველობას. ფაქტია, რომ სოციალური დახმარების პოლიტიკა ყოველთვის პოლიტიკათა უფრო ფართო ქსელის ნაწილია, რაც გულისხმობს დასაქმების, საცხოვრებელი პირობების, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობას, რომელთა მიზანია სიღარიბის შემცირება და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხოვრნობის შემცირება. მხოლოდ ასეთმა ერთიანმა აქტივობებმა შეიძლება გაანეიტრალოს ის რისკები, რაც სოციალური დახმარების განაწილებას ახლავს: სოციალური სოლიდარობის შემცირება, ადმინისტრაციული სირთულეები, ფინანსური დანახარჯები და ა.შ. როგორც საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება ფართომაშტაბიანი სოციალური

პროგრამების დაფინანსება, ასევე რეგიონებისა და ავტონომიური ერთეულების ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ თავიანთი ბიუჯეტის შესაბამისად სოციალურ პროგრამებს: სოციალურად დაუცველი ფენისთვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა; ვეტერანთა სარიტუალო და სასაჩუქრე (გაზის ტალონები) მომსახურება; ოთხ და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვებზე) ერთჯერადი მატერიალური დახმარება; გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება; ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხარჯის ანაზღაურება; ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსის მგზავრობის ხარჯის ანაზრაურება; საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზებული სახურავების შეცვლის პროგრამით დახმარება; სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო მომსახურებით დახმარება; ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციალური მედიკამენტებით უფასოდ უზრუნველყოფა; პარკისონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მარტოხელა ხანდაზმულთა შინმოვლის პროგრამით უზრუნველყოფა; 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა.

თავი III. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების სამართლებრივი მეთოდოლოგიური საფუძვლები და წინაპირობები

3.1. მთის კანონის როლი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკის გატარებაში

საქართველოში თანამედროვე პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარება და ეფექტურად გადაჭრა, ერთ-ერთ ეროვნულ განვითარე-

ბის პროგრამაში გამოყოფენ მთის პრობლემატიკას, სადაც ხაზგასასმელია, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორებიცაა: სოფლებიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაცია, რეგიონებში მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისთვის გაუმჯობესებისთვის არასაკმარისი სტიმულირება, სოციალური და საყოფაცხოვრებო გარემოს დაბალი დონე და სხვა. აღნიშნული პრობლემებისა და ფაქტების შესწავლა რეალიზება ხელს უწყობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში უკეთესი ცხოვრების ძებნის სურვილით მოსახლეობის დიდი ნაკადის გადინება ხდება სოფლიდან ქალაქის მიმართულებით. სწორედ ამ პროცესისთვის მზადყოფნის დაგვიანებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს საზოგადოებრივი ინტერესები, რომელიც ურბანულ გარემოში გამოხატულია სივრცით პარამეტრებში, რაც სოფლის და მაღალმთიანი რეგიონების დაცარიელებას უწყობს ხელს. მაღალმთიან რეგიონების სოფლებიდან ქალაქში მოქალაქეთა მიგრაციის პროცესს ხელს უწყობს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ინფრასტრუქტურის არარსებობა, ანუ ამ შემთხვევაში მოქალაქეები ცდილობენ სწორედ იქ დასახლდნენ სადაც მათთვის ხელსაყრელი პირობები ექნებათ, საბაზრო ფასებიდან გამომდინარე ნაკლები დანახარჯებით მეტ სარგებელს მიიღებენ; ურბანული განვითარების არარსებობა და შესაბამისი რეგიონის განვითარების ხედვის არ არსებობა; სოფლის მეურნეობის განვითარების და გლეხთა ხელშეწყობის პროგრამების არ არსებობა.

სოფლის მოსახლეობას არ უნდა შეეზღუდო უკეთესი განათლების, სამუშაოს მოძიების და დასაქმების, ჯანდაცვის მიღების საშუალება, რადგანაც ადამიანები არიან, როგორც ქვეყნის ასევე რეგიონის ყველაზე დიდი მამოძრავებელი ძალა და რესურსი, რომლებსაც ჭირდებათ შესაბამისი პირობები, მომზადება, გადამზადება და მათი ჩართვა რეგიონის განვითარებაში. ამისათვის საჭიროა სახელწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლიობით მოხდეს მაღალმთიანეთში მეტი რესურსის ჩადება, რათა ადგილობრივი წარმოების განვითარება, შიდა სახელმწიფოებრივი და შიდა საუბნო გზების მოწესრიგება, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მიწოდება მოსახლეობაზე, გაზიფიცირების განხორციელება,

წყლისა და წყალარინების სისტემის მოწესრიგება, ბუნებრივი კატასტროფებისა და მეწყერ-საწინააღმდეგო პროექტების განხორციელება, ტურისტული იმფრასტრუქტურის მოწეს-რიგება, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს მაღალმთიანეთის განვითარებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და მოსახლეობის სოფლად დაბრუნებას.

სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლი-ტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქარ-თველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნ-ველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონო-მიკური პრობლემების გადაჭრისაკენ. ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმუ-ლირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. **(საქართველოს .....2015:მუხლი 4)**

ადგილობრივ თვითმმართველობებში მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე, (ფიზიკურ პირს სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: არის საქართველოს მოქალაქე; რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში; ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით, ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.) - **საქართველოს მთავრობის დადგენილება №591 2015 წლის 19 ნოემბერი მუხლი.3** ქ. თბილისი მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სატატუსის მინიჭების, შეწყვეტის, აღდგენის, შეჩერების შესახებ, სახელმწიფო დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ეს უფლება მინიჭებული აქვს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერს. მაღალმთიანი რეგიონებისთვის და და მაღალმთიანობის სტატუსის

მქონე პირთათვის შეღავათიანობის აუცილებელი ფინანსური რესურსების განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით.

მაღალმთიანობის სტატუსი ენიჭება რეგიონებს ,,ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს“ (**საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, მუხლი.2 საქართველოს 2018 წლის 20 სექტემბრის კანონი №3455 – ვებგვერდი, 09.10.2018წ**)

2016 წლის პირველი ინვრიდან მთის კანონმა მნიშვნელოვანი წვრილი შეიტანა მაღალმთიანეთში თითოეული ოჯახის ფინანსურად და ბავშვთა შობადობის ზრდაში, ამას მოწმობს სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოპოვებული წყარო 2016 წლის მდგომარეობით ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ოჯახებში ბავშვთა შობადობის ზრდა და ასევე ამ ოჯახებზე გაცემული ფულადი დახმარებები. სადაც მოცემულია ქედაში - პირველ, შუახევში - მეორე და ხულოში - მესამე ბავშვის ოჯახებზე გაცემული თანხები, 2016 წლის მარტის თვიდან დეკემბრის თვის ჩათვლით, საიდანაც შესაძლებელია დავინახოთ მთის კანონით მიღებული შედეგი შობადობის ზრდასთან დაკავშირებით. **იხილეთ ცხრილი: №1**

ოჯახებზე გაცემული ფულადი დახმარებები (2016 წელი)

ცხრილი:№1

მუნიციპალიტეტი თვე	ქედა		შუახევი		ხულო		გადარიცხული თანხა სამივე მუნიციპალიტეტი
	ოჯახი	I ბავშვი	ოჯახი	II ბავშვი	ოჯახი	III ბავშვი	
მარტი	34	34	7	8	15	15	7300
აპრილი	49	49	25	26	51	52	16200
მაისი	78	79	36	38	73	74	24200
ივნისი	95	96	58	60	100	101	33100
ივლისი	114	115	68	71	117	118	39100
აგვისტო	130	131	95	98	155	157	49400
სექტემბერი	152	153	115	118	191	193	58500
ოქტომბერი	172	173	142	145	231	233	68500
ნოემბერი	184	184	168	168	265	265	76500
დეკემბერი	199	200	184	187	296	299	84400

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge/

აღნიშნულ მაღალმთიან პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის ჯამში 457 200 ლარი გადაირიცხა. 2016 წლის დეკემბრის თვის მაჩვენებლები, როგორც ბენეფიციართა რაოდენობის, ასევე გადარიცხული თანხის მოცულობის, საწყის მაჩვენებლებს საგრძნობ-ლად აღემატება. შეინიშნება ასევე ცხრილში ბავშვთა შობადობის ზრდა, რაც შესაძლებე-ლია უკავშირდებოდეს შემუშავებული მთის კანონით გასაწევ დახმარება. ანალოგიურად, მონაცემები იზრდება 2017 წელსაც.

ოჯახებზე გაცემული ფულადი დახმარებები (2017 წლის 7 თვის მონაცემები)

ცხრილი: №2

მუნიციპალიტეტი თვე	ქედა		შუახევი		ხულო		გადარიცხული თანხა სამივე მუნიციპალიტეტი
	ოჯახი	I ბავშვი	ოჯახი	II ბავშვი	ოჯახი	III ბავშვი	
იანვარი	214	215	198	201	320	323	90 900
თებერვალი	232	234	217	220	342	346	97 900
მარტი	204	206	204	206	308	312	88 100
აპრილი	226	229	209	212	315	318	96 300
მაისი	220	222	215	220	331	335	99 100
ივნისი	227	229	219	224	335	339	102 00
ივლისი	234	237	227	232	347	352	106 600

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge/

2017 წელს ბენეფიციართათვის გადარიცხულმა თანხამ ჯამში 680 900 ლარი შეადგინა, ხოლო დახმარების მიმღები ბავშვების რაოდენობა ჯერ უმნიშვნელოდ იკლებს, შემდეგ კი თანდათან იზრდება.

აღნიშნული მონაცემებიდან ცხადია, რომ მთის კანონმა დადებითი გავლენა მოახდინა როგორც დემოგრაფულ ზრდაზე, ასევე ოჯახების შემოსავლის ზრდაზეც რაც მისასალ-მებელია.

2019 წლის 15 მაისის მდგომარეობით ჩვენს საკვლევ სამ მუნიციპალიტეტებში მოქა-ლაქეებზე სტატუსის მდგომარეობა ნაჩვენებია ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილში.

ბენეფიციართა რაოდენობა 2019 წლის 15 მაისის მდგომარეობით

ცხრილი:№3

მუნიციპალი-ტეტები	ფართობი	მოსახლეობა	სტატუსის მინიჭება	შეწყვეტა	შეჩერება	აღდგანა	აქტიური
ქედა	452 კმ²	16.809	15.427	1.010	357	9	14.060
შუახევი	588 კმ²	15.102	13.862	1.085	369	16	12.408
ხულო	710 კმ²	25.902	22.844	1.392	514	17	20.938

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ჩვეს მიერ მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს სტატუსის შეწყვეტა ძირითადად ხორციელდება მოქა-ლაქეთა გარდაცვალების გამო, მცირე რაოდენობით კი მიგრაციის გამო, მიგრაცია გამოწ-ვეულია ზოგადად მუნიციპალიტეტებში არასაკმარისი სამუშაო ადგილით, რის გამოც მოქა-ლაქეებს უხდებათ ქალაქის ფარქლებში გადასვლა დასაქმებისა და სამუშაოს დაწყების მიზნით, ამრიგად თუ შეიქმნება მუციპალიტეტებში მეტი სამუშაო ადგილი, ცხოვრების კარგი პირობები და შეღავათები, მაშინ შესაბამისად არ გვექნება მიგრაციის პროცესი და პირიქით გვექნება სტატუსის აღდგენა-მოპოვების მეტი პროცესი, საზოგადოების მეტი რაოდენობა კი იქნება დაფინანსების ახალი სისტემით მუნიციპალიტეტების მეტი ფინანსური შემოსავალი,

ასევე ცხრილში მოცემულია საკვლევი მუნიციპალიტეტების ფართობები და მოსახლეობის რაოდენობა 2019 წლის იანვრის მდგომარეობით.

3.2 ადგილობრივი თვითმმართველობის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი

ადგილობრივი თვითმმართველობების, ამ შემთხვევაში ჩვენი საკვლევი ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისთვის საჭიროა ვიცოდეთ შესაბამისი მუნიციპალიტეტების ადგილმდებარეობა, დემოგრაფიული მდგომარეობა, მოსახლეობის ცხოვრების დონე, მოსახლოების მოსაზრებები, გასაჭირი, აუცილებელი და პრიორიტეტული მოთხოვნები, მოსახლეობის შემოსავლის დონე ინფლაციის მაჩვენებელთან შედარებით, საკვლევი მუნიციპალიტეტების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება და შემდგომ მისი სწორი ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას, აღმოვფხვრათ ის სუსტი მხარეები, რომლებიც აფერხებს მუნიციპალიტეტების განვითარებას, მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონესა და წინსვლის საშუალებას. ამ კრიტერიუმებით შეფასებისთვის უნდა ვიცოდეთ, თითოეული მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგადი მიმოხილვა:

ქედის მუნიციპალიტეტი - მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის თითქმის შუა წელზე, ჩრდილოეთით - 38 კმ სიგრძეზე ქობულეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით - 24 კმ. სიგრძეზე შუახევი, დასავლეთით - 24 კმ სიგრძეზე ხელვაჩაური, სამხერთით კი თურქეთის 17 კმ -ნი საზღვარი აკრავს. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 452 კვ. კმ-ია, მოსახლეობის რაოდენობა 16 809 ათასი ადამიანია, ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ქედაა, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრი სიმაღლეზე მდებარეობს. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეხილეობა, მევენახეობა, მემცენარეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა განვითარებულია საკალმახე მეურნეობაც. ქედა გამოირჩევა ყურძნის უნიკალური

ჯიშებით, მუნიციპალიტეტში წარმოებული ღვინოები სარგებლობენ დიდი პოპულარობით, მოწყობილია ღვინის მარნები, შერვაშიძის -პ/მაისში, შავიშვილის-სოფ ვაიოში, სირაბიძის გეგელიძეებში, მშენებლობის ეტაპზეა, ბერიძის- სოფ. წონიარისში. მუნიციპალიტეტი მდიდარია ასევე ბუნებრივი წიაღისეულით, სპილენძისა და ოქროს საბადოებით (მერისი, ვაიო) სამკურნალო და მინერალური წყლებიდან აღიარებულია კოკოტაურისა და გუნდაურის წყლები, კოკოტაურის წყალს მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი. ისტორიული მემკვიდრეობიდან შემორჩენილია ძეგლები: სათვალთვალო კოშკები - კავიანი, გულები, ძენწმანი, საღორეთი ცივასულა. თაღოვანი ხიდები - მახუნცეთი, პ/მაისი, წონიარისი, დანდალო. ციხეები ზენდიდი ცივასულა. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აჭარისწყლისა და მთის მდინარეების ხეობებში შესაძლებელია, როგორც ფლორასა და ფაუნის მრავალფეროვანი ნიმუშების, ასევე ჩანჩქერების მონახულება - მახუნცეთის ჩანჩქერი, რომელიც დიდად მიმზიდველია ტურისტებისათვის, ყოველწლიურად იზრდება ტურისტების ვიზიტი, რაც დადებითად ისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე და მოსახლეობის შემოსავალზეც. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ისტორიული მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ეთნოგრაფიული და ისტორიული და მასალები.

აქვე განვიხილოთ ადგილობრივი თვითმმართველობების ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები ცხრილის მონაცემებით ცალ-ცალკე.

ქედის მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები

ცხრილი: №4

ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი	**ძლიერი მხარეები**	**სუსტი მხარეები**
შემოსავალი	მოსახლეობის შემოსვალის ზრდის დინამიკა შეიმჩნევა	შემოსავლის ზრდის ტემპი ჩამორჩება ინფლაციის მაჩვენებელს
საარსებო მინიმუმი	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა ცენტრალურ ბიუჯეტიდან ღებულობენ სოციალურ დახმარებას	სოციალური დახმარება ზოგადად გაზრდის უმუშევრობას, ადამიანებს კმაყოფილდებიან გარანტირებული შემოსავალი და დაკარგავენ სტიმულს სამსახურის მოძიების

საცხოვრებლით უზრუნველყოფა	მუნიციპალიტეტი გამოთავისუფლებული ფართის ბინებად გადაკეთების, ასევე საერთო საცხოვრებელი ბინის მშენებლობის საფუძველზე ახდენს უსახლკარო და ეკომიგრანტის სტატუსის მოსახლეობის ბინით დაკმაყოფილებას	მუნიციპალიტეტში გეოგრაფიული მდებარეობის გამო ბევრია ოჯახია მოხვედრილი მეწყერსაშიშ ზონაში, ძველი სახლები საცხოვრებლად უვარგისია და საჭიროებს განსახლებისა და გამაგრებითი პროცესების დაჩქარებას
კულტურისა და ხელოვნების ობიექტები	მუნიციპალიტეტში არსებობს ერთი კულტურის სახლი, ცხრა სასოფლო კლუბი ოცდაცამეტი სასოფლო და ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა	არსებული კულტურისა და ხელოვნების ობიექტები საჭიროებს რემონტს და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვას
საპენსიო სისტემა	საპენსიო ასაკს მიღწეული მოსახლეობა დროულად ღებულობენ პენსიას	დაბალი სიცოსხლისუნარიანობის გამო ცოტა თუ აღწევს საპენსიო ასაკს, საჭიროებს საპენსიო ასაკის გადახედვას.
განათლების ხარისხი	მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა მესამედზე მეტს გააჩნია უმაღლესი განათლება	მიღებული განათლებითა და სპეციალობით ცოტა თუ ახდენსდასაქმებას
ჯანმრთელობის დაცვა	მუნიციპალიტეტში არის სამედიცინო დაწესებულება და პუნქტები, რომლებშიც ეწევათ მოქალაქეებს სამედიცინო მომსახურება ხარისხიანად	მუნიციპალიტეტი განიცდის ადგილობრივ კვალიფიციურ მედ-პერსონალს, ხდება მოწვევა გარკვეულ დღეებში, რამაც შეიძლება შეაფერხოს ყოველდღიური მომსახურება
მედიკამენტებით უზრუნველყოფა	მუნიციპალიტეტში არის საკმაო რაოდენობის სააფთიაქო ქსელი, რაც ხელმისაწვდომია ტერიტორიულად მოსახლეობისთვის	ქალაქის სააფიაქო ქსელებთან შედარებით მედიკამენტების ფასები გაზრდილია, რაც აზარალებს მოსახლეობას
ეკოლოგია	მუნიციპალიტეტში არსებობს სანდასუფთავების სამსახური, რომელთა მიერ ხდება მუნიციპალური ქუჩებისა და ტერიტორიების დასუფთავება, მთავარი ცენტრალური გზების დასუფთავების აქციებს მართავს ხშირად მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები	მუნიციპალიტეტის ყველა შიდა სოფელში არ არის ნაგავშემკრები კონტეინერები განლაგებული, რის გამოც ხდება ნაგავის სპონტანურად ბუნების წიაღში განთავსება
საწარმოები	არსებობს ღვინისა და ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო, რომელთა მიერ ხდება ყურძნისა და ხილი-ბოსტნეულის შესყიდვა მოსახლეობისგან	შესყიდული ყურძნისა და ხილბოსტნეულის ფასი გაცილებით ნაკლებია ვიდრე ბაზარში არსებული ფასი.
ენერგეტიკა	მუნიციპალიტეტში არსებობს მოქმედი აწჰესის ჰიდროელექტრო სადგური, ასევე იგეგმება სამომავლოდ მცირე ჰესების მშენებლობა	მუნიციპალიტეტში ჰესის არსებობა გავლენას ვერ ახდენს მის მიწოდების ფასზე
მოსახლეობა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 16 800 ადამიანზე მეტია, დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი საჯარო სექტორში მოდის,	მთაგორიანი რელიეფის გამო 70 % - მდე უკავია ტყის მასივს დასახლებები არის შემჭიდროებული და არათანაბრადაა განაწილებული
დასაქმება	თვითდასაქმების მაჩვენებელი მაღალია მუნიციპალიტეტში, ხდება დროებით დასაქმება სხვადასხვა კერძო სამუშაო ადგი-	ძირითადად დასაქმების მაჩვენებელი დაბალია მუნიციპალიტეტში, დასაქმების ძირითადი ნაწილი საჯარო სექ-

	ლებზე, საზღვარგარეთ გადინება დროებით სამუშაოს საპოვნელად	ტორზე მოდის
კვალიფიკაციურობა	თვითმმართველ ერთეულში და საჯარო სექტორში დასაქმებულთა დიდი ნაწილის კვალიფიკაციურება შეესაბამება სამუშაო მოთხოვნებს	ქალაქის ფარგლებში დასაქმებულ საჯარო სექტორში მოხელეთა შრომის ანაზღაურებას გაცილებით დიდად ჩამორჩება მუნიციპალიტეტის დასაქმებულ მოხელეთა შრომის ანაზღაურება, რის გამოც ხდება კვალიფიციური კადრების გადინება, რაც ცუდად ისახება მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებაზე, ამიტომაც საჭიროა სახელფასო ფონდის გადახედვა კვალიფიკაციური კადრების შესანარჩუნებლად. ასევე საჭიროა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სპეციალური კურსების, სემინარების პრაქტიკის გავლა.
საგზაო მშენებლობა	მთავარი სასოფლო გზების მოწესრიგება ყოველწლიურად ხდება მოასფალტებისა და მობეტონების სახით	ხოლო შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება ნელი ტემპით ხორციელდება.
ტურიზმი	მუნიციპალიტეტში არსებობს ერთი ტურისტული სააგენტო, სხვადასხვა უცხოური და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხდება მოქალაქეების მიერ წარდგენილი პროექტების დაფინანსება, საოჯახო ტიპის სატუმროების, მარნების, ტურისტების მოზიდვის მიზნით სხვადასხვა სახის ობიექტების პროექტების დაფინანსება	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ხდება ნელი ტემპით
საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობა	ყველა საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფილია ინტერნეტით	დღესდღეობით კი საჯარო დაწესებულების გარეთ მოსახლეობას არ მიეწოდებათ ინტერნეტი და ნაკლებად ხელმისაწვდომია მაღალი ფასის გამო

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"-ს გამგეობის თავმჯდომარე-ლევან გობაძის კვლევებზე ნაწილობრივ დაყრდნობის (თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში.) საფუძველზე. http://www.intellect.org.ge/text_files/ge_file_540_1.pdf

ამრიგად ქედის მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების ცხრილში მოცემული სუსტი მხარეების, შეფასებით, გაანალიზებით და მათი გადაჭრის გზების მოძიებით აღმოიფხვრება მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები, შემცირდება მიგრაციის პროცესი, მოხდება მოსახლეობის სოფლად დაბრუნება, კვალიფიციური კადრების გადი-

ნების შემცირება, ტურიზმის ზრდა და სხვა, რაც დადებითათ აისახება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაზე.

შუახევის მუნიციპალიტეტი - 1952 წელს ხულოს რაიონიდან გამოყოფილი ტერიტორიის საფუძველზე შეიქმნა, მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე დაახლოებით 195 კმ-ია, ფართობი 588 კვ. კმ -ია, ჩრდილოეთით ესაზღვრება - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 6,3 კმ. და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი 2,5 კმ. სამხრეთით თურქეთის 46 კმ. აღმოსავლეთით ხულოს მუნიციპალიტეტი 78 კმ. დასავლეთით ქედის მუნიციპალიტეტი 31.5 კმ. და ქობულეთის მუნიციპალიტეტი 29,5 კმ. ყველაზე მაღალი მთაა ხევა - 2812 მ ზღვის დონიდან, შუახევის მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, როგორიცაა გოგირდის, ალუმინის, გაბროს, სანალის, ანდეზიტ-ტაციტისა და ბრილის სააგურე თიხის საბადოები. ასევე მდიდარია მდინარეებით, აჭარისწყალი, ჭვანი წყალი, ჩირუხის წყალი, მდინარე სანალიაზე აშენებულია 3000 კვტ. სიმძლავრის მცირე ჰესი. მდიდარია ასევე მინერალური წყლებით: შუახევის, შამბალეთის, ლამაზმარეს, ბათალვაკის, გუდნის, ბოგილის, ტყემალთის, უჩამბის და სხვა.

რაც შეეხება შუახევის მუნიციპალიტეტის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მათგან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე - **ძლიერი მხარეები:** სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები სახელმწიფოსგან იღებს სოციალურ დახმარებას, რაც დადებითად აისახება მათ ცხოვრებაზე, საავადმყოფოების მომსახურება შეესაბამება თანამედროვე რეგიონულ სტანდარტებს, მოსახლეობა დაახლოებით 15100 ადამიანზე მეტია, დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი საჯარო სექტორშია, რომელთა კვალიფიციურობა შეესაბამება მოთხოვნილ ნორმებს ასევე მაღალია თვითდასაქმება, კერძო სტრუქტურებში და საზღვარგარეთ დროებით სამუშაოებზე.

სუსტი მხარეები: სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები, კმაყოფილდებიან გარანტირებული შემოსავლით და ხშირად უარს ამბობენ დასაქმებაზე, რაც ზრდის მუნიციპალიტეტში უმუშევრობის რაოდენობას, რაც ტვირთად აწვება როგორც მუნიციპალიტეტს

ასევე სახელმწიფოს, საავადმყოფოს არ ყავს ყველა სახის მომსახურების ადგილობრივი მედ-პერსონალი, რის გამოც უხდებათ მოწვევა გარკვეულ დღეებში, შესაბამისად აისახება ყოველდღიურ არაეფექტურ მომსახურებაზე, უმუშევრობის დონე მაღალია, ეს ზრდის სოციალურად დაუცველთა ფენას, ასევე ხდება კვალიფიციური კადრების გადინება ქალაქის ფარგლებში, რაც უკავშირდება დაბალ სახელფასო სისტემას, რადგანაც ქალაქის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი გაცილებით მაღალია ვიდრე შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო სექტორში, კვალიფიკაციური კადრების სიმცირე ცუდად ისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. დანარჩენი იხ. დანართი და დამატებებში ცხრილი №5.

ხულოს მუნიციპალიტეტი - ხულოს მუნიციპალიტეტის ფართობი 710 კმ^2 -ია მოსახლეობა -25 902 ადამიანია, სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი 20 კმ, დასავლეთით შუახევი - 60,5 კმ, ჩრდილო-დასავლეთით ოზურგეთი - 1 კმ, ჩრდილოეთით ჩოხატაური -19,5 კმ, აღმოსავლეთით ადიგენი - 28,8 კმ. ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზღვის დონიდან ვრცელდება 400-3007 მეტრის ფარგლებში, ყველაზე მაღალი ყანლიანის მთაა - 3007 მეტრის, ტერიტორიაზე გვხვდება მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები. ძირითადად გავრცელებულია ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეები. მდიდარია ბუნებრივი რე- სურსებით: სასარგებლო წიაღისეულებით სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვებით, ხის მარაგით, მინერალური წყლებით- ხიხაძირის წყალი, დანისპარაულის წყალი, საანის წყალი, დიოკნისის წყალი და სხვა. ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიას 1940 წელს ეწოდა რაიონი, ხოლო 2006 წლიდან ხულოს მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხულო, იყოფა 13 ადმინისტრაციულ ერთეულად, ძირითადი დარგებია: **სოფლის მეურნეობა** - მემცენარეობა, მებოსტნეობა, კარტოფილისა და მარცვლეული კულტურების წარმოება. **მეცხოველეობა** - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს უმნიშვნელოვანესი კურორტი ბეშუმი ზღვის დონიდან 1850-1900 მეტრზე, სამთო სათხილამურო კურორტი გოდერძის უღელტეხილი 2025 მეტრზე. კულტურული ძეგლებიდან გვხვდება შუა საუკუნეების ძეგლი - ნასაყდრალი, თამარის ციხე, სხალ-

თის ეკლესია, ხიხანის ციხე, ვარდციხე, კალოთას ეკლესიის ნანგრევები, უჩხოს ქვის თაღოვანი ხიდი, საციხურის ეკლესიის ნანგრევები.

ხულო მუნიციპალიტეტის შემთვევაში კი გვაქვს მცირედით განსხვავებული ძლიერი და სუსტი მხარეები, კერძოდ - **ძლიერი მხარეები:** მოსახლეობის მთლიანი ნაწილი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი სახლებით, ის კატეგორია რომლებიც მოხვდება მეწყერულ ზონაში ხდება მათი ქირით გაყვანა, ალტერნატიური ფართის გამონახვამდე, სააფთიაქო ქსელი შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს, მაგრამ ძირითადად განთავსებულია ცენტრალურ ადგილებში, ადგილმდებარეობის ხელმისაწვდომობის მიზნით შესაძლებელია არასააფთიაქო სავაჭრო ქსელში თემებშიც შეძენა, მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერალური რესურსებით, სასარგებლო წიაღისეულით (სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები, გაქვავებული ხის მარაგი), სოფელ დანისპარაულში არსებობს სამშენებლო ქვის კარიერი. ამჟამად არსებული 25-მდე მინერალური წყლებიდან გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ შესწავლილია წაბლანის, ხიხაძირის, დანისპარაულის, დიოკნისის, აბანოყელის, ყინჩაურის მინერალური წყლების გამოსავლები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ძველთაგანვე გამოიყენებოდა სასმელად და სამკურნალოდ. ცნობილია სოფელ ბოღაურის და ბიჭაურის თერმული წყლები, რომელიც შემადგენლობით გოგირდწყალბადიანსულფატურ- ჰიდროკარბონატულია. ტემპერატურა მერყეობს 30-35 გრადუსამდე. მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობა და მინერალიზაცია შესაძლებლობას იძლევა მათ სამკურნალოდ გამოყენებას, მოსახლეობა 25902 ადამიანია დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი საჯარო სექტორშია, რომელთა კვალიფიციურობა შეესაბამება მოთხოვნილ ნორმებს ასევე მაღალია თვითდასაქმება, კერძო სტრუქტურებში და საზღვარგარეთ დროებით სამუშაოებზე

სუსტი მხარეები: საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი ძველია და მწვავედ დგას ავარიული სახურავების საკითხი, რომლებზეც საჭიროა გამაგრებით სამუშაოების ჩატარებას და სახურავის გამოცვლას, სააფთიაქო ქსელში მედიკამენტების ფასი აღემატება ქალაქში

არსებულ სააფთიაქო ქსელის მედიკამენტების ფასებზე, საჭიროებს კონტროლს ფასთან მიმართებაში, მინერალური წყლების დებეტი დაბალია, ასევე ჰესებისთვის გვირაბების მშენებლობისას მოხდა წყაროს წყლების დაკარგვა, უმუშევრობის დონე მაღალია, ეს ზრდის სოციალურად დაუცველთა ფენას, ასევე ხდება კვალიფიციური კადრების გადინება ქალაქის ფარგლებში, რაც უკავშირდება დაბალ სახელფასო სისტემას, რადგანაც ქალაქის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი გაცილებით მაღალია ვიდრე ხულოს მუნიციპალიტეტის საჯარო სექტორში, კვალიფიკაციური კადრების სიმცირე ცუდად ისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე, მუნიციპალიტეტში არ არსებოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმო, რომელთა რეალიზაცია ხდება ბათუმის ბაზარზე, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. დანარჩენი კი იხ. დანართი და დამატებებში №6-ში.

3.3 მოსახლეობის ზრდის დინამიკისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებები

მოსახლეობის ზრდის დინამიკა შეიმჩნევა ჩვენს საკვლევ ორ მუნიციპალიტეტში, კლება კი შუახევის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ფიქსირდება. მოსახლეობის ზრდა და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც სახელმწიფოს ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, ამისთვის როგორც სახელმწიფო ასევე ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ: შიდა სასოფლო მთავრი გზების მოწესრიგებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორ-

ციელებას მოსახლეობასთან შეთანხმებით, სკოლების, ბაგა-ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციას, სასმელი და სარწყავი წყლებით მოსახლეობის უზრუნველყოფას, ასევე მოსახლეობის სოფლად დაბრუნება ხდება მაღალმთიანი რეგიონებზე გაწეული შეღავათების მეშვეობით, კერძოდ მაღალმთიან დასახლებაში 2016 წლის პირველი ინვრიდან დაბადებულ პირველ და მეორე შვილზე, ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი, მესამე და მომდევნო ბავშვზე კი, ორი წლის განმავლობაში 200 ლარი. აღნიშნული დახმარება გაიცემა იმ ბავშვზე, რომლის ერთ-ერთი მშობლი არის მაღალმთიანი დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი. ასევე ,,მთის კანონი" საშემოსავლო გადასახადის კუთხით, შეეხო მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან.

2016 წლის პირველი იანვრიდან, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები არცერთი პირი ვისაც აქვს მათალმთიანობის სტატუსი და მის საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი აღარ იხდიან ქონების გადასახადს. რაც შეეხება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს, ექიმებს, ექთნებს, მასწავლებლებს გაეზარდათ ხელფასი 35 %-იანი ნამატით, სპეციალური რეგიონული პროგრამით მომუშავე მასწავლებლებს 50%-იანი ნამატით, საპენსიო პაკეტი ჯერ გაიზარდა 20 % ით, სოციალური პაკეტი ერთ არასრულწლოვან ბავშვზე 50 -ი ლარით. ასევე ეს კანონი შეეხო თითოეულ ოჯახს მოხმარებული ელექტროენერგიის 50% იანი შეღავათით, არაუმეტეს 100 კვტ.საათი ელექტროენერგიის საფასურისა. ,,მთის კანონი" შეეხო მაღალმთია დასახლებაში მეწარმე ფიზიკურ პირებს და საწარმოებს, თავისუფლდებიან საშემოსავლო, ქონებისა და მოგების გადასახადიდან 10 წლის ვადით. ამ შეღავათებით მოახდინეს მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის დაკავება-დაბრუნება, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და მოსახლეობის ზრდა.

საქართველოს სტატისტიკის ერონვული სამსახურის მონაცემებით 2015 -2019 წლებში ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტში შეინიშნება მოსახლეობის ზრდა მცირედით მაგრამ მაინც, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტში მცირედი კლება შეინიშნება.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ზრდისა და კლების დინამიკა 2015-2019 წლების 1 იანვრის მდგომარეობით

გრაფიკი:№7



შენიშვნა: გრაფიკი შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. http://geostat.ge/

სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში, როგორც სახელმწიფოს ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მთავარ მიზანს წარმოადგენს სიღარიბის დაძლევა და ხანდაზმულობით გამოწვეული რისკების მინიმუმამდე დაყვანა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადაპტირება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვა. სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობისა და შრომის უზრუნველყოფის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით დასახვეწია ოჯახების სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, რათა არ მოხდენს ფიზიკურად შესაძლო შრომისუნარიანი ადამიანების სოციალურ ბაზაში მოხვედრა, რომლებიც დაკარგავენ ინტერეს სამუშაოს მოძიებისას, რითაც გაიზრდება უმუშევრობის დონე, ამავე დროს უნდა მოხდეს სახელმწიფოსა და

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სამუშაო ადგილების ზრდისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ხელშეწყობა.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდგომ დასაქმებული სამუშაო ძალის მქონე ოჯახებიდან გამოთავისუფლებული ფინანსების მიმართვა და ზრდა, იმ ყოფა-ცხოვრებით და შრომითი ძალით უმწეო ოჯახებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ დასაქმება ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში სოციალური პაკეტების ხარჯვა იქნება ეფექტური. 2019 წლიდან საპენსიო სისტემის ზრდისათვის დაგროვებითი პენსიის პროგრამის განხორციელება არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი გარანტირებული სიბერის შექმნისთვის, (ყოველი დასაქმებული იხდის საპენსიო დანაზოგისთვის დაუბეგრავი ხელფასის 2%-ს, დამსაქმებელი 2 %-ს და სახელმწიფო 2%-ს ჯამში უგროვდება მოქალაქეს 6 %-ი) მაგრამ საზოგადოებაში არის შიში ხელფასიდან გადახდილი 2 %-ის სხვა ხელისუფლების პირობებში დაკარგვისა, რის გამოც 40 წელს გადაცილებული მოქალაქეები ახდენენ საპენსიო დანაზოგის გაუქმებას, მოქალაქეთა უნდობლობის და არსებული შიშის გაქარწყლების მიზნით უნდა მოახდინოს სახელმწიფომ შესაბამისი გარანტიებისა და ხელშეკრულების გაფორმება არასავალდებულო ასაკს გადაცილებულ მოქალაქეებთან, რომლის საფუძველზე დარწმუნდებიან, რომ არ დაეკარგებათ თავიანთი დანაზოგი არცერთი ხელისუფლების დროს, რაც შექმნის საზოგადოებაში ინტერესს შექმნან დანაზოგი და გარანტირებული სიბერე, ყოველივე ეს აისახება დადებითად როგორც სახელმწიფოსთვის ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, რადგან საპენსიო ასაკის ადამიანების ექნებათ კარგი ფინანსური შემოსავალი და უზრუნველი სიბერე. ასევე უნდა მოხდეს სოციალური მდგომარეობის გასაუმჯოსებლად შემუშავდეს შესაბამისი პროგრამა ჯანდაცვის სფეროში ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება სრულიად უფასო უნდა იყოს, მაღალმთიანეთში მცხოვრებლებისათვის, ასევე მაღალმთიანეთში არასრულწლოვნების, საპენსიო ასაკისა და უნარშეზღუდული ადამიანების ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება

სრულიად უსასყიდლოდ უნდა ხორციელდებოდეს, ხოლო დანარჩენი მოქალაქეებისთვის საყოველთაო დაზღვევით მინიმალური დანახარჯებით გაეწიოთ სამედიცინო მომსახურება, რაც ხელს შეუწყობს მაღალმთიანეთში მოსახლეობის, როგორც ზრდის დინამიკას, ასევე უკეთეს ცხოვრებისეულ პირობებს. სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლიობით უნდა გაძლიერდეს მაღალმთიან რეგიონებში უფრო მეტად ოჯახის ექიმის ინსტიტუტი, რათა გაუმჯობესდეს პაციენტთა მართვა და მომსახურება ამბულატორიის დონეზე. ყურადღება უნდა გამახვილდეს ჭარბი დანახარჯების თავიდან ასაცილებლად პრიორიტეტულ გადამდებ დაავადებებზე (ინფექციები, ტუბერკულოზი) და არაგადამდებ (გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური) ადრეულ გამოვლენაზე და ეფექტურ მართვაზე. ჯანდაცვისა და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელი ღონისძიებები მიზნად ისახვას მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასა და სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებას. რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობა უფრო მეტად იქნებიან დაცული ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯების და გაღარიბების რისკებისაგან, ყოველივე ეს გაზრდის თითოეული ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას.

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები: ჩვენს მიერ ჩატარებულ ელექტრონულ კვლევაში კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსების ახალი სისტემის და მთის კანონის შეღავათების შესახებ, რომლის მიზანი იყო დადებითი და უარყოფითი შედგების გამოვლენა და ჩვენისეული შეფასება, მონაწილეობა მიიღო 102 ადამიანმა. საიდანაც ნათლად ჩანს, რომ კვლევაში მონაწილეობას ღებულოს ნახევარზე მეტი (55,6 %) 25-დან 40 წლამდე ადამიანები, გამოკითხულთა 74,5% დასაქმებულია, ხოლო 16,3 % დროებით უმუშევარი, დანარჩენი სხვა პირები. ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსების ახალი სისტემის შესახებ ინფორმირებული არიან გამოკითხულთა 40,8 %, ნაწილობრივ-37,8% ხოლო არაინფორმირებული - 21,4 %, გამოკითხულთა 68,4 % მიიჩნევს, რომ მაღალმთიან სტატუსის მქონე მოსახლეობაზე არსებული 10% იანი

დაფინანსება არაა საკმარისი მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებისათვის და საჭიროა პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა, რაზეც გვიჩვენებს კვლევის მე-7 დიაგრამის მონაცემი.



https://docs.google.com/forms/d/1B_O24sFgSbejmmHq4NUEyQcXA8vHNSQ6qnRpiEb9Gtk/edit#responses

მაგრამ ნახევარზე მეტი (56,1 %) მაინც დადებითად აფასებს დაფინანსების ახალ სისტემას. გამოკითხულთა 28,1% პროცენმა აღნიშნა, რომ მთის კანონის შეღავათი უშუალოდ შეეხოთ მათ. 80,2 % გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მოსახლეობის მთაში შეკავებისთვის აუცილებელია მთის კანონის შეღავათების ზრდა, რაზეც გვიჩვენებს კვლევის მე-12 დიაგრამა.



https://docs.google.com/forms/d/1B_O24sFgSbejmmHq4NUEyQcXA8vHNSQ6qnRpiEb9Gtk/edit#responses

ასევე ამ მიზეზით 93,9 % მოითხოვს მთის კანონით ფინანსური დახმარება შეეხოს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და ა.შ. ახალშობილ ბავშვთა ოჯახებს, რომლის მაჩვენებელი ასახულია კვლევის მე-13 დიაგრამაზე.



https://docs.google.com/forms/d/1B_O24sFgSbejmmHq4NUEyQcXA8vHNSQ6qnRpiEb9Gtk/edit#responses

85,6 %- ის მოსაზრებით აუცილებლად საჭიროა მთის კანონის შეღავათების შეხება სტუდენ-ტებზე და საჯარო მოხელეებზე, ხოლო 80,8 პროცენტის მოსაზრებით აუცილებლად საჭიროა ჩვენს საკვლევ მუნიციპალიტეტებში საპენსიო ასაკის დაწევა, რომლის შედეგი ნაჩვენებია კვლევის მე-15 დიაგრამაზე.



https://docs.google.com/forms/d/1B_O24sFgSbejmmHq4NUEyQcXA8vHNSQ6qnRpiEb9Gtk/edit#responses

ამრიგად ჩვენი მოსაზრებით, თუ აღნიშნული კვლევის უმრავლესობის შედეგებს (კერძოდ: თვითმმართველობების დაფინანსების ახალი სისტემით, მაღალმთიან სტატუსის მქონე პირებზე 10 % იანი დაფინანსება გაიზრდება ეს იქნება ასევე სტიმული მუნიციპალიტეტებისთვის ყავდეთ უფრო მეტი სტატუსის მქონე მოქალაქეები, მიგრაციის შესამცირებლად და მთაში მოსახლეობის დაბრუნების მიზნით მთის კანონის შეღავათების ზრდა, საპენსიო ასაკის დაწევა, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და ა.შ ბავშვიან ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა, კვალიფიციური კადრების შესანარჩუნებლად, მთის კანონის შეღავათების მორგება საჯარო მოხელეებზე და სხვა) გაითვალისწინებენ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობები ისე ცენტრალური ხელისუფლება და ერთობლივი თანადგომით მოახდენენ ამ პრობლემების აღმოფხვრას უახლოეს მომავალში, ეს იქნება საწინდარი მოსახლეობის მთაში დაბრუნების, თითოეული ოჯახების კეთილდღეობის, კმაყოფილი მოსახლეობის, განვითარებული მუნიციპალიტეტების და წარმატებულ საქართველოს. კვლევის სრული შედეგი იხილეთ დანართი და დამატებებში.

დასკვნები და რეკომენდაციები:

ამრიგად, როგორც მოძიებული ინფორმაციიდან ჩანს ჩვენ საკვლევ ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები ცვლადია ბოლო ხუთი წლის მაჩვენებლებით, კერძოდ: **ქედის მუნიციპალიტეტის** საბიუჯეტო შემოსულობები 2015 წელთან (7,444,038 - ლარი) შედარებით იზრდება და მცირდება, 2016 (10,249,918 ლარი) და 2018 (10,114,522 ლარი) წლების მონაცემები მზარდია, ასევე მზარდია 1,423,853 ლარით 2019 წლის ბიუტეტი და ის (11,538,375 ლარი)-ს შეადგენს, ხოლო 2017 წლის (9,532,317 ლარი) საბიუჯეტო შემოსულობები კლებადია. მცირედით განსხვავებული დინამიკაა **შუახევის მუნიციპალიტეტის** საბიუჯეტო შემოსულობების ზრდისა და კლების კუთხით, 2016 წელს (9,045,500 ლარი) 2015 წელთან (8,815,500 ლარი) შედარებით შუახევის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობები უმნიშვნელოდაა გაზრდილი, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო წლის საბიუჯეტო შემოსულობების მონაცემებზე, ნათლად ჩანს ამ ბოლო ორ წელს შორის სხვაობა, საბიუჯეტო შემოსულობები 2017 წელს (15,430,000 ლარი) ნახტომისებურად არის გაზრდილი, რასაც საკმაო შემცირება მოსდევს 2018 წელს (11,147,400 ლარი) ხოლო 2019 წლის ბიუჯეტი სულ რაღაც 413,000 ლარითაა გაზრდილი და ის 11,560,000 ლარს შეადგენს განსხვავებული თავისებურებით გამოირჩევა **ხულოს მუნიციპალიტეტის** საბიუჯეტო შემოსულობები 2015 წლიდან (9,817,150 ლარი), 2016 წელი (13,079.930 ლარი), 2017 წლის (14,299,600 ლარი) ჩათვლით არის საგრძნობლად გაზრდილი, რასაც ვერ ვიტყვით 2018 წლის (11,392,500 ლარი) საბიუჯეტო შემოსულობებზე, ის საკმაოდ შემცირებულია, ასევე შედარებით მცირედი შემცირება განიცადა 2019 წლის ბიუჯეტმა და ის 11,364,000 ლარს შეადგენს, სხვადასხვა პერიოდში შემცირებული ბიუჯეტის ძირითადი მიზეზი გრანტების ვერ მიღებით იყო გამოწვეული.

როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე თვითმმართველი ერთეულების მთავარ მიზანს და პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალმთიან რეგიონებში ცხოვრების გაუმჯობესებისა და თანაბარი პირობების შექმნა, ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის სათანადო პირობების შექმნა, სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფა, სოციალური პირობების შექმნა, სიღარიბის დაძლევა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, საწარმოების შექმნა, დასაქმებულთა ზრდა, განათლების უზრუნველყოფა, ბიუჯეტის ეფექტური ხარჯვა, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის შესაბამისი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, ინფრასტრუქტურისა და საავტომობილო გზების მოწესრიგება, წყლის სისტემის გამართვა და სხვა ღონისძიებების გატარება, რომლთა აქტივობები მისცემს შესაძლებლობას შესაბამის მუნიციპალიტეტს შეამციროს მიგრაცია და მოახდინოს მოსახლეობის დაბრუნება მუნიციპალიტეტში (სოფლად). ამ ღონისძიებების განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტებს ჭირდებათ მზარდი ბიუჯეტი, რისთვისაც ცენტრალური ხელისუფლების აზრით საჭირო იყო შეექმნათ დაფინანსების ახალი სისტემა, რომელზეც გადასვლა მოხდა 2019 წლის იანვრიდან, რის საფუძველზე საშემოსავლო და გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველობები, როგორც წესი ფინანსდება უკვე დღგ-ის სახით მიღებული შემოსავლიდან შემდეგი კრიტერიუმებით: კერძო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაფინანსება დღგ-ს 19 პროცენტიდან განაწილდება, 60 % -ს მიიღებენ მუნიციპალიტეტები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით; 15 %-ს მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის მიხედვით; 10 %-ს მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე მოზარდების მიხედვით; 10 % -ს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსის მქონე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და 5 %-ს მიიღებენ მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით. აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტების პრიორიტეტი დაფინანსების გასაზრდელად, არის დემოგრაფიული ზრდა.

ახალი სისტემით ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსებას, როგორც დადებითი ასევე მას ახასიათებს უარყოფითი მხარე, ერთ-ერთად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში არ ხდება ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება, რადგანაც ეკონომიკური განვითარება მის შემოსავალზე ნაკლებად აისახება, მუნიციპალიტეტის მიერ მოზიდული ინვესტიციები, შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები, ვერ გაზრდის მის ფინანსურ შემოსავალს, ერთ - ერთი შემოსავალი მუნიციპალური შემოსავლიდან რჩება ქონების გადასახადი, რომელიც ვერ გაზრდის მის ძირითად შემოსავალს.

მოსახლეობის სოფლად დაბრუნება ხდება მაღალმთიანი რეგიონებზე გაწეული შეღავათების მეშვეობით, კერძოდ მაღალმთიან დასახლებაში 2016 წლის პირველი იანვრიდან დაბადებულ პირველ და მეორე შვილზე, ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი, მესამე და მომდევნო ბავშვზე კი, ორი წლის განმავლობაში 200 ლარი. აღნიშნული დახმარება გაიცემა იმ ბავშვზე, რომლის ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიანი დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი. ასევე ,,მთის კანონი“ საშემოსავლო გადასახადის კუთხით, შეეხო მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან.

2016 წლის პირველი იანვრიდან, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები არცერთი პირი ვისაც აქვს მათალმთიანობის სტატუსი და მის საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი აღარ იხდიან ქონების გადასახადს. რაც შეეხება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს, ექიმებს, ექთნებს, მასწავლებლებს გაეზარდათ ხელფასი 35 %-იანი ნამატით, სპეციალური რეგიონული პროგრამით მომუშავე მასწავლებლებს 50%-იანი ნამატით, საპენსიო პაკეტი ჯერ გაიზარდა 20 % ით, სოციალური პაკეტი ერთ არასრულწლოვან ბავშვზე 50 -ი ლარით. ასევე ეს კანონი შეეხო თითოეულ ოჯახს მოხმარებული ელექტროენერგიის 50% იანი შეღავათით, არაუმეტეს 100 კვტ.საათი ელექტროენერგიის საფასურისა. ,,მთის კანონი“ შეეხო მაღალმთია დასახლებაში მეწარმე ფიზიკურ პირებს და საწარმოებს, თავისუფლდებიან საშემოსავლო, ქონებისა და მოგების გადასახადიდან 10

წლის ვადით, ასევე ხორციელდება მაღალმთიან რეგიონების გაზიფიცირების სისტემის მოწყობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2020 წლისთვის, ამ შეღავათებით მოახდინეს მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის დაკავება-დაბრუნება, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და მოსახლეობის ზრდა.

რეკომენდაციები - ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი შეთანხმებით უნდა მოხდეს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც იქნება მიმართული მაღალმთიან რეგიონების განვითარებისთვის, ამისთვის საჭიროა მეტი სამუშაო ადგილების შექმნა, ეს შესაძლებელია რეგიონებში თუ შექმნის სახელმწიფოს დახმარებით ადგილობრივი თვითმმართველობები საწარმოებს, რადგანაც მხოლოდ ინფრასტრუქტურული ღონისძებები ვერ იქნება გარანტი მოსახლეობის სოფლად დაკავების, თუ მათ არ ექნებათ დასაქმების შესაძლებლობა, სტიმული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის, მოწეული სასოფლო პროდუქციის შენახვა-რეალიზაციის საშუალება, მაგალითად:

ქედის მუნიციპალიტეტი - ცნობილია მაღალი ხარისხის თამბაქოს, ხილ-ბოსტნეულის და მევენახეობის მოსავლიანობით, თუ მოხდება თამბაქოს გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ეს წაადგება როგორც მუნიციპალიტეტს, დასაქმდება ადგილობრივები ასევე მიეცემათ სტიმული მოსახლეობას თამბაქოს მოყვანის და შესაბამისად გაუჩნდებათ ოჯახში შემოსავალი, მითუმეტეს რომ დღეს კილოგრამი თამბაქოს ფასი ბაზარზე საკმაოდ მაღალია, ასევე არსებობს ყურძნისა და ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო ქედაში მაგრამ არ ხდება ყურძნისა და ხილ-ბოსტნეულის ჩაბარება მაღალ ფასში, ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს კონტროლი სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

შუახევის მუნიციპალიტეტი - ცნობილია თამბაქოსა და ხილ-ბოსტეულის მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაში, თუ შეიქმნება ასევე ადგილობრივი წარმოების საწარმოები და ადგილზე ექნებათ მოსახლეობას მოწეული პროდუქციის რეალიზაციის საშუალება

მაღალ საბაზრო ფასად ეს გაუმჯობესებს მათ შემოსავალს და ექნებათ ნაკლები დანახარ-ჯები ქალაქის ფარგლებში ტრანსპორტირებისათვის, ასევე დასაქმდება საწარმოებში ადგილობრივი მუშა ხელი, შეიქმნება ადგილობრივი ნატურალური პროდუქცია, რომელთა რეალიზაცია შესაძლებელი იქნება ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც ჩაენაცვლება იმპორტულ პროდუქციას.

ხულოს მუნიციპალიტეტი - ასევე ცნობილია ბოსტნეული კულტურების (კარტოფილი, ნიორი, ხახვი და სხვა) მაღალი ხარისხის მოსავლიანობით, ასევე მეცხოველეობის განვითა-რების დიდი ტრადიციები გააჩნიათ, ამიტომ ფერმერებს უნდა შეეუწყოს ხელი ადგილობ-რივმა თვითმმართველობამ და შეუქმნას მოწეული პროდუქციის გასაღების ბაზარი, შესანახი და სამაცივრე სისტემების მოწყობა, მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა, სხვადახვა ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შემოყვანა და თანადაფინანსების წესით მოსახლეობაზე გადაცემა, ყოველივე ეს გაზრდის მესაქონლეობის განვითარებას, რომლის შემდგომ უნდა მოხდეს არსებული რძის საწარმოს გაფართოება, დამატებითი სასაკლაოს მიმღები პუნქტების გახსნა, სადაც მოხდება ხორცის მიღება დამუშავება და სარეალიზაციოდ გაშვება.

ასევე ვფიქრობთ, რომ რადგანაც დასაქმება სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტია, ამავდროულად ხდება სოციალური დახმარებისა და შემწეობის გაცემა როგორც ქვეყნის, ასევე მაღალმთიან რეგიონის ოჯახებზე და თუ მოხდება ოჯახების კატეგორიების ზუსტი შეფასება და სოციალური დახმარება არ გაიცემა იმ სამუშაო ძალის ოჯახებზე, რომლის ოჯა-ხის წევრებსაც შეუძლიათ მუშაობა, ამ შემთხვევაში არ გვექნება საზოგადოების გაზარმაცებისკენ მიდრეკილება, რადგანაც გარანტირებული შემოსავალი დააკმაყოფი-ლებთ მათ და აღარ მოინდომებენ სამუშაოს დაწყებას ან მოძიებას, ყოველთვის იქნება ხელისუფლების კმაყოფაზე დამოკიდებული, ყოველი ეს მოგვცემს უმუშევრობის ზრდას, რაც ფინანსურ ტვირთად წაადგება მუნიციპალიტეტსა და სახელმწიფოს, ამიტომაც გადასა-ხედია სოციალური გაცემის მექანიზმი და უნდა მოხდეს მხოლოდ: უმწეო, შშმ პირებზე, ჯანმ-

რთელობის პრობლემის მქონე პირებზე დახმარება, გამოთავისუფლებული თანხები კი მიმართული უნდა იყოს საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნაზე.

ვფიქრობთ ასევე რეგიონებიდან მიგრაციის შესაჩერებლად და პირიქით სოფლად დაბრუნების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიც შეიძლება იყოს: მაღალმთიანეთში მცხოვრებთათვის უფასო ან დაბალ ხელმისაწვდომ ფასებში სამედიცინო მომსახურების გაწევა, საპენსიო ასაკის ზღვარის დაწევა მამაკაცებისთვის - 60 წელი, ქალბატონებისთვის - 55 წელი, ასევე ვფიქრობთ სახელმწიფო პროგრამით განხორციელებული საპენსიო დანაზოგი მნიშვნელოვანია უზრუნველი სიბერისთვის, მაგრამ თუ მოხდება სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანეთში დასაქმებულთა საშემოსავლო გადასახადის ჩაბრუნება მათ საპენსიო დანაზოგში, ეს იქნება უპრეცედენტო ღონისძიება მოქალაქეთა მართლაც გარანტირებული სიბერისა, ეს სისტემა მოახდენს მოქალაქეთა დაბრუნებას რეგიონებში და და კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას მუნიციპალიტეტებში, აქვე ავღნიშვანთ, რომ დღესდღეობით მუნიციპალიტეტებიდან მართლაც ხდება კვალიფიკაციური კადრების გადინება ქალაქის ფარგლებში, რადგან ქალაქის ფარგლებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი ანაზღაურება მსგავს პოზიციაზე გაცილებით მაღალია ვიდრე მუნიციპალიტეტებში, ამიტომ კვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნით საჭირო და აუცილებელია შრომითი ანაზღაურების გადახედვა და თუ არ მოხდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსგავს თანამდებობების შრომითი ანაზღაურების გათანაბრება, მიახლოებული მაინც უნდა გახდეს, ასევე მაღალმთიან რეგიონში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს არ ეხებათ მთის კანონო, რაც ერთგვარად აფერხებს მათ მოტივაციას მაღალმთიან რეგიონის საჯარო სამსახურში მუშაობის გაგრძელებისას, ამიტომ ვფიქრობთ გადაიხედოს ეს კანონი და მისი დადებითი მხარეც შეეხოს საჯარო მოხელეებს, რათა არ დაკარგოს მუნიციპალიტეტმა კვალიფიციური კადრები, რადგან ეს ცუდად მოქმედებს შემდგომ მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.

დღესდღეობით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ხორციელდება მთის კანონის ფარგლებში პირველ- მეორე შვილზე ერთი წლის განმავლობაში 100 ლარიანი ფინანსური დახმარება, ხოლო მესამე და მომდევნო შვილზე კი ორი წლის განმავლობაში 200 ლარიანი ფინანსური დახმარება, მივესალმებით ამ პროგრამას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თუ გვინდა დემოგრაფიული ზრდა ამ შემთხვევაში უდა მოხდეს მოსახლეობის მრავალშვილიანობის დაფინანსება მესამე, მეოთხე, მეხუთე და ა.შ. შვილების რაოდენობის მიხედვით.

როგორც უკვე ვხედავთ აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ხორციელდება გაზიფიცირების სისტემის მოწყობა, რომელიც ძალზედ მისასალმებელია, შეინახება ტყის რესურსი მუნიციპალიტეტებში, ასევე შემცირდება ეროზიული მოვლენები და გაიზრდება წყა-როს წყლებისა და მინერალური წყლების დებეტი, ასევე უფრო იაფი დაუჯდება მოსახლეო-ბას ვიდრე შეშის დამზადება და მოტანა. მთავარი ცენტრალური ხაზის ძირითადი ნაწილი გაყვანილია, დარჩენილი ნაწილის პროექტის დასრულება დაგეგმილია 2020 წლისათვის, აქვე თუ გაითვალისწინებენ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება გაზიფიცირების შიდა ქსელის უსასყიდლოდ მიყვანა-მონტაჟს თითოეული მცხოვრების ოჯახში, გარკვეული საშეღავათო ტარიფებით თუ ისარგებლენ მაღალმთიანეთის მცოხვრებლები, ეს იქნება დიდი შეღავათი მოსახლეობისთვის, რაც შეამცირებს მიგრაციის პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსები და ქონება http://resources.ctf.org.ge/8%20budjet.pdf
2. ლოსაბერიძე დ, კანდელაკი კ, აბულაძე მ, კონჯარია ო ა(ა)იპმწვანე კავკასია, თბილისი, 2016 წელი - http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/?p=728
3. საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" ქუთაისი 2014 წელი -https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
4. ბიუჯეტის მონიტორი, სახელმწიფო აუდიტის ანალიტიკური პორტალი https://budgetmonitor.ge/ka/municipality?fbclid=IwAR0Vd-FMKD3fd8dWjOsh0gRL6dhiZ8S85IO4NctWg7Jr5rhJ6F9YRsS8dnk#tab-1
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/

6. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ,,ინტელექტი" 2012 წელი http://www.intellect.org.ge/text_files/ge_file_540_1.pdf
7. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი - თბილისი 2009 წელი https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=39
8. საქართველოს კონსტიტუცია - თბილისი 2010 წელი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1080890?publication=2
9. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ - ქუთაისი 2015 წელი https://matsne.gov.ge/ka/document/download/2924386/3/ge/pdf
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება №591- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის შესახებ - თბილისი 2015 წელი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3058361?publication=0
11. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ. ავტ: მამუკა აბულაძე, ოთარ კონჯარია 2017 წელი - http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2017/05/Manual-HMD.pdf
12. დეცენტრალიზაციის სტრატეგია განახლებული სტრატეგიული ჩარჩო - 2017 წელი http://droa.ge/wp-content/uploads/2018/02/Decentralization-strategy-updated-context-analysis-v.02.pdf
13. საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ - თბილისი 2016 წელი https://matsne.gov.ge/ka/document/view/26332?publication=5
14. სოციალური მომსახურების სააგენტო 2016-2017 წლები -http://ssa.gov.ge/
15. საქართველოს მაღალმთიან დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 წლების პროექტი -თბილისი 2018 წელი file:///C:/Users/User/Downloads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%

A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98.pdf

16. **ურბანიზაციის რეგულირება მაღალმთიანი რეგიონების სტიმულირების კვალობაზე - ავტორები: ცინარიძე რამინი, ბერიძე დავით, ცეცხლაძე ლევან.**
17. **ქედის მუნიციპალიტეტი - ვიკიპედია** https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98
18. **შუახევის მუნიციპალიტეტი - ვიკიპედია** https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98
19. **ხულოს მუნიციპალიტეტი - ვიკიპედია** https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98

დანართები და დამატებები:

ცხრილი: №5

შუახევის მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
შემოსავალი	მოსახლეობის შემოსავლებში შეიმჩნევა მზარდი პროცესი, რაც დადებითად ისახება მათ ცხოვრების პირობებზე	შემოსავლების ზრდის დინამიკა კი ვერ- ფარავს ინფლაციით გამოწ- ვეულ ხარჯებს

საარსებო მინიმუმი	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები სახელმწიფოსგან იღებს სოციალურ დახმარებას, რაც დადებითად აისახება მათ ცხოვრებაზე	სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები, კმაყოფილდებიან გარანტირებული შემოსავლით და ხშირად უარს ამბობენ დასაქმებაზე, რაც ზრდის მუნიციპალიტეტში უმუშევრობის რაოდენობას, რაც ტვირთად აწვება როგორც მუნიციპალიტეტს ასევე სახელმწიფოს
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	მოსახლეობის მთლიანი ნაწილი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი სახლებით, ის კატეგორია რომლებიც მოხვდება მეწყერულ ზონაში ხდება მათი ქირით გაყვანა, ალტერნატიური ფართის გამონახვამდე	საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი ძველია და მწვავედ დგას ავარიული სახურავების საკითხი, რომლებზეც საჭიროა სახურავის გამოცვლა
კულტურისა და ხელოვნების ობიექტები	შუახევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სამი მუზეუმი, სამი კულტურის ცენტრი, ოცდაექვსი სასოფლო კლუბი, ორმოცდასამი სკოლასთან მოქმედებს ბიბლიოთეკა და ერთი კულტურის ცენტრთან არსებული ბიბლიოთეკა.	კულტურისა და კლუბების სახლების ნაწილი საჭიროებს რემონტის ჩატარებას, ასევე გასაახლებელია ინვენტარი
საპენსიო სისტემა	საპენსიო ასაკის მოქალაქეები დროულად ღებულობენ პენსიას, რაც დადებითად ისახება მათ ცხოვრების პირობებზე	საპენციო თანხა დღესდღეობით ჩამორჩება ინფლაციის ფასებს, საჭიროა პენსიის ზრდა, ასევე რადგანაც სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი შემცირებულია უნდა მოხდეს საპენსიო ასაკის შემცირება
განათლების დონე	მოსახლეობის უმრავლესობას მიღებული აქვთ საშუალო განათლება, ხოლო მესამედზე მეტს კი უმაღლესი და პროფესიული განათლება	კვალიფიკაცია არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს საჭიროებს გადამზადებას, ტრენინგენს და პრაქტიკულ კურსებს
სამედიცინო მომსახურება	საავადმყოფოების მომსახურება შეესაბამება თანამედროვე რეგიონულ სტანდარტებს, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის მომსახურებაზე	საავადმყოფოს არ ყავს ყველა სახის მომსახურების ადგილობრივი მედპერსონალი, რის გამოც უხდებათ მოწვევა გარკვეულ დღეებში, შესაბამისად აისახება ყოველდღიურ არაეფექტურ მომსახურებაზე
საავთიაქო ქსელი	საავთიაქო ქსელი შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს, მაგრამ ძირითადად განთავსებულია ცენტრალურ ადგილებში, ადგილმდებარეობის ხელმისაწვდომობის მიზნით შესაძლებელია არასაავთიაქო სავაჭრო ქსელში თემებშიც შეძენა	საავთიაქო ქსელში მედიკამენტების ფასი ააღემატება ქალაქში არსებულ საავთიაქო ქსელის მედიკამენტების ფასებზე, საჭიროებს კონტროლს ფასთან მიმართებაში
სანდასუფთავება	მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სანდასუფთავების სამსახური, რომელთა	თემებში და შიგა სოფლებში ვერ ახდენენ კონტროლს ამიტომაც

	მიერ ხდება ქუჩებისა და ტერიტორიების დასუფთავება, სოფლებში ხდება ნარჩენების შეგროვება, რათა არ მიადგეს ზიანი ბუნებას, თვითნებური ნაგავსაყრელებით	ხდება თვითნებური ნაგავსაყრელების შექმნა, საჭიროებს მეტ კონტროლს და ყურადღებას
ენერგეტიკული რესურსები	შუახევის ტერიტორიაზე მდებარეობს მცირე ჰიდროელექტრო სადგური, ასევე იგეგმება სამომავლოდ მცირე ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა, რაც გაზრდის შუახევის ბიუჯეტის შემოსავალს	ჰესის არსებობა ვერ ახდენს მოსახლეობაზე მიწოდებული ელექტროენერგიის ფასის დაწევას
ბუნებრივი რესურსები	შუახევის მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, როგორიცაა გოგირდის კოლჩედანის, ალუმინიტის, გაბროს, სანალიის, ანდეზიტ–ტაციტისა და ბრილის სააგურე თიხის საბადოები; სამშენებლო ქვის საბადოები (ცინარეთის, ხაბელაშვილების, სანალიას) უხვადაა მინერალური წყლები: შუახევის,ნიგაზეულის, დღვანის, შამბალეთის, ბათალვაკის, გუდნის, ბოგილის, ტყემალთის, უჩამბის და სხვ. სოფელ ტომაშეთის მიდამოებში ცნობილია გოგირდწყალბადიანი თერმული წყლები, რომელთა ტემპერატურა 30 °C–ს აღწევს.	მინერალური წყლების დებეტი დაბალია
რეკრეაციული რესურსები	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდ. აჭრისწყალის მონაკვეთი (სიგრძე 17კმ), ჭვანისწყალი (27კმ), ტბეთისწყალი (18); ჩირუხისწყალი (42 კმ), ასევე მდ. სანალია, რომელზეც აგებული ჰიდრო ელექტრო სადგური; მდინარეები შერეული საზრდოობისაა. მუნიციპალიტეტში ბევრია წყაროების გამოსავლები	აღნიშნულ მდინარეების სანაპიროები არის ტყის მასივში და კლდოვანი, რის გამოც მიუდგომელია ტურისტებისათვის
მოსახლეობის რაოდენობა, კვალიფიციურობა და დასაქმების დონე	მოსახლეობა დაახლოებით 15100 ადამიანზე მეტია, დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი საჯარო სექტორშია, რომელთა კვალიფიციურობა შეესაბამება მოთხოვნილ ნორმებს ასევე მაღალია თვითდასაქმება, კერძო სტრუქტურებში და საზღვარგარეთ დროებით სამუშაოებზე	უმუშევრობის დონე მაღალია, ეს ზრდის სოციალურად დაუცველთა ფენას, ასევე ხდება კვალიფიციური კადრების გადინება ქალაქის ფარგლებში, რაც უკავშირდება დაბალ სახელფასო სისტემას, რადგანაც ქალაქის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი გაცილებით მაღალია ვიდრე შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო სექტორ-

		ში, კვალიფიკაციური კადრების სიმ-ცირე ცუდად ისახება მუნიციპალი-ტეტის განვითარებაზე.
საწარმო	მუნიციპალიტეტშ მოქმედებს რძის გადამამუშავებელი საწარმო სადაც დასაქმებულია 20-მდე ადგილობრივი მცოვრები	სოფლის მეურნეობის პროდუქციის - ხილის, ბოსტნეულის, ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები არ არსებობს; რძის პროდუქტების დამუშავება არ ხდება ადგილობრივი მოთხოვნის ადეკვატური სიმძ-ლავრით
სასოფლო პროდუქცია	მუნიციპალიტეტში განვითარებულია მემცენარეობა ძირითდად რამდენიმე ბოსტნეული კულტურის ხარჯზე: თამბაქოს, სიმინდის, კარტოფილის, ნიგვზის, ველური ხილისა და კენკროვნების, სამკურნალო მცენარეე-ბი, ბულგარული წიწაკა; და სხვა	მუნიციპალიტეტში არ არსებოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავე-ბელი საწარმო, რომელთა რეალი-ზაცია ხდება ბათუმის ბაზარზე, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული
საგზაო მშენებლობა	ცენტრალური გზა სრულად რეაბილიტი-რებულია; თემებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია ეტაპობრივად მიმდინარეობს	შიდა სასოფლო გზების რეაბილი-ტაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს
სოციალური ინფრასტრუქტურა	მუნიპალიტეტში მოქმედებს უფასო უნივერსიტეტი, გიმნაზია; 43 საჯარო სკოლა. აქედან: 30 სრული საშუალო და 14 საბაზისო; ასევე მოქმედებს რამდე-ნიმე საბავშვო ბაღი. 1 კულტურის სახლი დაბაში; სახელოვნებო სკოლები (5) კლუბები ყველა თემში; მოქმედებს სასპორტო სკოლა დაბაში; მუნიციპალი-ტეტში მდებარეობს მინი სპორტული მოედანები.	რამდენიმე შენობა ნაგებობა საჭი-როებს რეაბილიტაციას, თანამედ-როვე ინვენტარით გაახლებას, სა-ბავშვო ბაღების მატებას

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს გამგეობის თავმჯდომარე-ლევან გობაძის კვლევებზე ნაწილობრივ დაყრდნობის (თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში.) საფუძველზე. http://www.intellect.org.ge/text_files/ge_file_540_1.pdf

ხულოს მუნიციპალიტეტი ძლიერი და სუსტი მხარეები

ცხრილი: №6

ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
შემოსავალი	მოსახლეობის შემოსავლებში შეიმჩნევა მზარდი პროცესი, შემოსავლების ზრდის ძირითადი ნაწილს წარმოადგენს სახელფასო ნაწილი, რაც დადებითად ისახება მათ ცხოვრების პირობებზე	შემოსავლების ზრდის დინამიკა კი ვერ ფარავს ინფლაციით გამოწვეულ ხარჯებს
საარსებო მინიმუმი	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები სახელმწიფოსგან იღებს სოციალურ დახმარებას, რაც დადებითად აისახება მათ ცხოვრებაზე	სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები, კმაყოფილდებიან გარანტირებული შემოსავლით და ხშირად უარს ამბობენ დასაქმებაზე, რაც ზრდის მუნიციპალიტეტში უმუშევრობის რაოდენობას, რაც ტვირთად აწვება როგორც მუნიციპალიტეტს ასევე სახელმწიფოს
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	მოსახლეობის მთლიანი ნაწილი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი სახლებით, ის კატეგორია რომლებიც მოხვდება მეწყერულ ზონაში ხდება მათი ქირით გაყვანა, ალტერნატიური ფართის გამონახვამდე	საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი ძველია და მწვავედ დგას ავარიული სახურავების საკითხი, რომლებზეც საჭიროა გამაგრებით სამუშაოების ჩატარებას და სახურავის გამოცვლას
კულტურისა და ხელოვნების ობიექტები	მუნიციპალიტეტში მოქმედებს თეატრი, ფუნქციონირებს 3 მუზეუმი, კულტურის ცენტრი, 10 სასოფლო კლუბი და 8 კულტურის სახლი, სკოლასთან მოქმედებს ინტეგრირებული ბიბლიოთეკები და კულტურის ცენტრთან არსებული საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკები. თემებში არსებობს საოჯახო ანსამბლები და ფოლკლორული კოლექტივები.	კულტურისა და კლუბების სახლების ნაწილი საჭიროებს რემონტის ჩატარებას, ასევე გასაახლებელია ინვენტარი
საპენსიო სისტემა	საპენსიო ასაკის მოქალაქეები დროულად ღებულობენ პენსიას, რაც დადებითად ისახება მათ ცხოვრების პირობებზე	საპენსიო თანხა დღესდღეობით ჩამორჩება ინფლაციის ფასებს, საჭიროა პენსიის ზრდა, ასევე რადგანაც სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი შემცირებულია უნდა მოხდეს საპენსიო ასაკის შემცირება
განათლების დონე	მოსახლეობის უმრავლესობას მიღებული აქვთ საშუალო განათლება, ხოლო მეოთხეზე მეტს კი უმაღლესი და პროფესიული განათლება	კვალიფიკაცია არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს საჭიროებს გადამზადებას, ტრენინგენს და პრაქტიკულ კურსებს
სამედიცინო მომსახურება	საავადმყოფოების მომსახურება შეესაბამება თანამედროვე რეგიონულ სტანდარტებს, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის მომსახურებაზე	საავადმყოფოს არ ყავს ყველა პროფილის მომსახურების ადგილობრივი მედ-პერსონალი, რის გამოც უხდებათ მოწვევა გარკვეულ დღეებში,

		შესაბამისად აისახება ყოველდღიურ არაეფექტურ მომსახურებაზე
სააფთიაქო ქსელი	სააფთიაქო ქსელი შეესაბამება მოთხოვ-ნილ სტანდარტებს, მაგრამ ძირითადად განთავსებულია ცენტრალურ ადგილებ-ში, ადგილმდებარეობის ხელმისაწვდო-მობის მიზნით შესაძლებელია არასააფ-თიაქო სავაჭრო ქსელში თემებშიც შეძენა	სააფთიაქო ქსელში მედიკამენტების ფასი აღემატება ქალაქში არსებულ სააფთიაქო ქსელის მედიკამენტების ფასებზე, საჭიროებს კონტროლს ფასთან მიმართებაში
სანდასუფთავება	მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სან-დასუფთავების სამსახური, რომელთა მიერ ხდება ქუჩებისა და ტერიტორიების დასუფთავება, სოფლებში ხდება ნარჩენების შეგროვება, რათა არ მიად-გეს ზიანი ბუნებას, თვითნებური ნაგავსაყრელებით	თემებში და შიგა სოფლებში ვერ ახდენენ კონტროლს ამიტომაც ხდება თვითნებური ნაგავსაყრე-ლების შექმნა, საჭიროებს მეტ კონტროლს და ყურადღებას
ენერგეტიკული რესურსები	ხულოს ტერიტორიაზე მდებარეობს ორი მცირე ჰიდროელექტრო სადგური, ასევე იგეგმება სამომავლოდ მცირე ჰიდროელექტრო სადგურის მშენებ-ლობა, რაც გაზრდის ხულოს ბიუჯეტის შემოსავალს	ჰესის არსებობა ვერ ახდენს მოსახ-ლეობაზე მიწოდებული ელექტრო-ენერგიის ფასის დაწევას
ბუნებრივი რესურსები	მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერა-ლური რესურსებით. სასარგებლო წიაღისეულით (სამშენებლო და მოსაპ-ირკეთებელი ქვები, გაქვავებული ხის მარაგი), სოფელ დანისპარაულში არსე-ბობს სამშენებლო ქვის კარიერი. ამჟა-მად არსებული 25-მდე მინერალური წყლებიდან გეოლოგიური დეპარტა-მენტის მიერ შესწავლილია წაბლანის, ხიხაძირის, დანისპარაულის, დიოკნისის, აბანოყელის, ყინჩაურის მინერალური წყლების გამოსავლები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ძველთაგანვე გამოიყენებოდა სასმე-ლად და სამკურნალოდ. ცნობილია სო-ფელ ბოღაურის და ბიჭაურის თერმული წყლები, რომელიც შემადგენლობით გოგირდწყალბადიან-სულფატურ-ჰიდროკარბონატულია. ტემპერატურა მერყეობს 30-35 გრადუსამდე. მინერა-ლური წყლების ქიმიური შემადგენლობა და მინერალიზაცია შესაძლებლობას იძლევა მათ სამკურნალოდ გამოყე-	მინერალური წყლების დებეტი დაბალია, ასევე ჰესებისთვის გვირაბების მშენებლობისას მოხდა წყაროს წყლების დაკარგვა

	ნებას.	
რეკრეაციული რესურსები	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდ. აჭრისწყალის მონაკვეთი, ღორჯომისწყალი, სხალთისწყალი, მდინარეები შერეული საზრდოობისაა. მუნიციპალიტეტში ბევრია წყაროების გამოსავლები. მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი მაღალია.	აღნიშნულ მდინარეების სანაპიროები არის ტყის მასივში და კლდოვანი, რის გამოც მიუდგომელია ტურისტებისათვის
მოსახლეობის რაოდენობა, კვალიფიციურობა და დასაქმების დონე	მოსახლეობა 25902 ადამიანია დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი საჯარო სექტორშია, რომელთა კვალიფიციურობა შეესაბამება მოთხოვნილ ნორმებს ასევე მაღალია თვითდასაქმება, კერძო სტრუქტურებში და საზღვარგარეთ დროებით სამუშაოებზე	უმუშევრობის დონე მაღალია, ეს ზრდის სოციალურად დაუცველთა ფენას, ასევე ხდება კვალიფიციური კადრების გადინება ქალაქის ფარგლებში, რაც უკავშირდება დაბალ სახელფასო სისტემას, რადგანაც ქალაქის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი გაცილებით მაღალია ვიდრე ხულოს მუნიციპალიტეტის საჯარო სექტორში, კვალიფიკაციური კადრების სიმცირე ცუდად ისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.
საწარმო	მუნიციპალიტეტში მოქმედებს რძის გადამამუშავებელი საწარმო სადაც დასაქმებულია 30-მდე ადგილობრივი მცოვრები	სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხილის, ბოსტნეულის, ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები არ არსებობს
სასოფლო პროდუქცია	მუნიციპალიტეტში განვითარებულია ბოსტნეულის, ხილისა და მარცვლეული კულტურების მოყვანის (სიმინდის, კარტოფილის, ნიორის, ხახვის) დიდი ტრადიციები; ასევე მეცხოველეობა და კენკროვანი კულტურების წარმოება;	მუნიციპალიტეტში არ არსებოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმო, რომელთა რეალიზაცია ხდება ბათუმის ბაზარზე, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული
საგზაო მშენებლობა	ცენტრალური გზა სრულად რეაბილიტირებულია; თემებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია ეტაპობრივად მიმდინარეობს	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს
სოციალური ინფრასტრუქტურა	მუნიციპალიტეტში მოქმედებს 38 საჯარო სკოლა. აქედან: 25 სრული საშუალო და 13 საბაზისო; ასევე მოქმედებს 5 საბავშვო ბაღი. მოქმედებს (8) ჯანდაცვის ცენტრი (ამბულატორია) და ერთი მუნიციპალური საავადმყოფო; 1 კულტურის სახლი დაბაში; სახელოვნებო სკოლები და (6) კლუბები;	რამდენიმე შენობა ნაგებობა საჭიროებს რეაბილიტაციას, თანამედროვე ინვენტარით გაახლებას, საბავშვო ბაღების მატებას

	მოქმედებს სასპორტო სკოლა დაბაში, ასევე მოქმედია ათი სახის სპორტული სასწავლებელი;	

შენიშვნა: ცხრილი **№6** შედგენილია ჩვენს მიერ ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს გამგეობის თავმჯდომარე-ლევან გობაძის კვლევებზე ნაწილობრივ დაყრდნობის (თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში.) საფუძველზე. http://www.intellect.org.ge/text_files/ge_file_540_1.pdf

კვლევა ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსების ახალი სისტემის და მთის კანონის შეღავათების შესახებ 102 ადამიანის მოსაზრება.

1. გთხოვთ მოწიშნოთ თქვენი ასაკი

99 ответов



2. გთხოვთ დაასახელოთ თქვენი სტატუსი

98 ответов



3. ფლობთ თუ არა ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსების ახალი სისტემის შესახებ?

98 ответов



4. ძირითადად საიდან იღებთ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსების ახალი სისტემის შესახებ?

98 ответов



5. თქვენი ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსების ახალი სისტემით ცენტრალურ ბიუჯეტში შესული დღგ-ს გადასახადის რამდენი % ნაწილდება თვითმმართველობებზე?

92 ответа



6. თქვენი აზრით რა მიზნით მიიღო ხელისუფლებამ გადაწყვეტილება თვითმმართველობების დაფინანსების ახალ სისტემაზე გადასვლა?

97 ответов

7. დღგ-ს 19 %-იანი განაწილების სისტემიდან ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს მაღალმთიანი სტატუსის მქონე მოსახლეობის რაოდენობაზე ერიცხებათ 10 % -ანი დაფინანსება, თქვენი აზრით საჭიროა თუ არა მაღალმთიან რეგიონების ეკონომიკური განვითარებისთვის პროცენტული მაჩვენებლის ზრდა?

98 ответов

8. თქვენი აზრით ახალი დაფინანსების სისტემით მუნიციპალიტეტების დაფინანსების ზრდა ძირითადად რაზეა დამოკიდებული?

98 ответов

9. როგორ აფასებთ თვითმმართველობების დაფინანსების ახალ სისტემას?

98 ответов

10. ფლობთ, თუ არა იწფორმაციას მთის კანონის შესახებ?

98 ответов



11. საიდან მიიღეთ იწფორმაცია მთის კანონის შეღავათების შესახებ?

96 ответов

12. თქვენი აზრით ქედა, შუახევი და ხულოს მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის მიგრაციის შესამცირებლად და სოფლად დაბრუნებისთვის საჭიროა თუ არა კანონის შეღავათების ზრდა?

96 ответов

13. ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში არის მთის კანონით პირვე-მეორე შვილზე 100 ლარიანი 1 წლით, ხოლო მესამე და მომდევნო შვილზე 200 ლარიანი 2 წლით ფინანსური დახმარება, თქვენი აზრით დემოგრაფიის ზრდისთვის საჭიროა თუ არა მესამე-მეოთხე-მეხუთე და ა. შ. ოჯახში ახალშობილთა რაოდენობაზე შესაბამისი ფინანსური დახმარების განსაზღვრა მთის კანონით?

98 ответов

14. ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე, სტუდენტებზე არ ვრცელდება მთის კანონის შეღავათები, თქვენი აზრით საჭიროა თუ არა კვალიფიციური კადრების გადინების შესაჩერებლად, მთის კანონის შეღავათების მორგება საჯარო მოხელეებზე?

97 ответов



15. თქვენი აზრით უნდა მოხდეს თუ არა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მთის სტატუსის მქონე მოქალაქეების საპენსიო ასაკის დაწევა (მამაკაცების 60 წელი, ქალბატონების 55 წელი) მთაში მოსახლეობის დაკავებისა და დაბრუნების მიზნით?

99 ответов

https://docs.google.com/forms/d/1B_O24sFgSbejmmHq4NUEyQcXA8vHNSQ6qnRpiEb9Gtk/edit#responses